

"24 საათის" ფიქციანი ნომერი
***2424**

ინილეთ ანართი



არტი, ცხოვრება და ხიზათი
A9



საფრანგეთის პირველობაზე მაკარიძის დებუთი ბანიართა
A13



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია ინილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჰი პი აი
შინს სალაფავეო ჯაუი

აბრასორის უსაფრთხოების კონცეფცია

დინიტრი ავალიანი

საქართველოს ომის შემდეგ ითხოვდა, სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. თბილისში აცხადებენ, რომ რუსეთს თამაშის წესების სათავისოდ შეცვლა და ევროპაში ვეტოს უფლების მოპოვება სურს.

როგორც აღმოჩნდა, საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის შემდეგ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა თავად რუსეთისთვისაც "მიუღებელი" გახდა. როგორც ხელშეკრულების პროექტის პრეამბულაში აღნიშნული, "საერთაშორისო ურთიერთობებში მიუღებელია ძალის გამოყენება ან მუქარა ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ". ხელშეკრულების პროექტიდან ირკვევა, რომ კრემლი ევროპაში ეუთო-ს ტიპის ახალი ორგანიზაციის შექმნას უჭერს მხარს.

ბაზრქოლაბა A3 გვერდზე

რუსული წყალქვეშა ნავის უიდგლო დაბქრობა

2009 წლის 20 ნოემბერს პორტში სასაიამოვნოდ წყნარი ღამე იდგა. შავი ზღვის ფლოტის წყალქვეშა ნავი ბ-871 "ალროსა" წყალს ზემოთ მცურავი გემის ქვეშ ხრახნების "ჩუმი" ხმაურით გადიოდა სევასტოპოლიდან.

ამ მომენტს საზეიმო ელფერს სძენდა მკაცრად საიდუმლო ვითარება, აგრეთვე ის, რომ მეზღვაურები ნათლად აცნობიერებდნენ დაკისრებული მისიის მნიშვნელობას - შავი ზღვის ფლოტის ერთადერთ ბრძოლისუნარიან წყალქვეშა ნავს კურსი საქართველოს ნაპირებისკენ ჰქონდა აღებული. იმ ღამეს ამ ნავის ეკიპაჟი იცავდა არა მხოლოდ რუსული ფლოტის ღირსებას და დიდებას, არამედ რუსული სახელმწიფოს ძღვევამოსილების აღორძინებაზე კოლექტიური ცნობიერების ოცნებას.

მაგრამ ბედისწერამ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კარგი საქმეების საკეთებლად ღამე არ გამოდგება.

პორტიდან გასვლის შემდეგ მალევე წყალქვეშა ნავზე, რომელიც აქამდე დიდი ხნის განმავლობაში რემონტზე იდგა დოკში, საგანგებო სიტუაცია წარმოიქმნა, რომელსაც ეკიპაჟი ვერ გაუმკლავდა და განგაშის სიგნალი გა-



დასცა. ამ დროს წყალქვეშა ნავი სოხუმიდან 150 კილომეტრზე იმყოფებოდა. არსებული ინფორმაციით, ძრავი დაზიანდა, რამაც ნავს გაჩერება აიძულა. იგი ბუქსირით ჩაიტანეს ნოვოროსიისკში. ეკიპაჟი არ დაზარალებულა, რასაც ვერ ვიტყვით შერცხვენილ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალებზე.

ამ ინციდენტმა ნათლად გამოაჩინა შავი ზღვის ფლოტის დღევანდელი მდგომარეობა, რასაც უმაღლესი ხელისუფლება საგულდაგულოდ მალავდა. საქმე ეხება ქრონიკულ პრობლემებს, რომლებთანაც გამკლავება, როგორც ჩანს, რუსეთს ჯერჯერობით არ შეუძლია.

ბაზრქოლაბა A8 გვერდზე

შესაძლებელია მედვედევის კონცეფციის გამოყენება?

დათო ბაჩისონია

რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებს უსაფრთხოების სფეროში ერთიანი კონცეფციის ჩამოყალიბების მოდელი შესთავაზა. საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში ტრანსატლანტიკური ხელშეკრულების პროექტის განხილვა უკვე დაიწყო. ათენში ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრიალზე რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა გუშინ რამდენიმე შეხვედრა გამართა. ლავროვის თქმით, "მედვედევის ინიციატივა ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და მსოფლიოს თავიდან აარიდებს რეგიონული კონფლიქტების ძალისმიერი გზით გადაჭრას."

მედვედევის პროექტი, რომელიც ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების ახალი ხელშეკრულების გაფორმებას ითვალისწინებს, საქართველოს ხელისუფლებას უკვე არსებული უსაფრთხოების მექანიზმების აღრევად მიაჩნია. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ გუშინდელ პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, "ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის საფუძველია ის, რომ სახელმწიფოები დემოკრატიულ პრინციპებზე იდგნენ. რუსეთს კი სჭირდება ისეთი მექანიზმები, რომლებიც მისცემს საშუალებას, დაბლოკოს სხვადასხვა გადანყევტილებები და იყოს თამაშის წესების განმსაზღვრელი, ჰქონდეს ვეტოს უფლება."

"24 საათი" ესაუბრა "სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტის" ხელმძღვანელ ანდრო ბარნოვს.

ბაზრქოლაბა A3 გვერდზე

"საქართველო ღიბარაღური ეკონომიკის განვითარების გზას დაადგა"

ოლივიე დეკამპმა საქართველოს ეკონომიკა შეაფასა

თინა შავაძე



რომელიც საშუალებას იძლევა, მასზე დაყრდნობით ქვეყნის ეკონომიკა გაძლიერდეს.

რაც შეეხება კიდევ ერთ დამამუშაველ ასპექტს - ეს არის ის, რომ მთავრობის პოლიტიკა ანტიკრიზისულ ღონისძიებებთან დაკავშირებით საკმაოდ აგრესიულია, ამ სიტყვის პოზიტიური მნიშვნელობით, და აღნიშნული პოლიტიკა კარგად გვეხმარება, ეფექტურად ვმართოთ მიმდინარე კრიზისი. შეითხვას, ნამდვილად დასრულდა თუ არა კრიზისი, ამ ეტაპზე შესაძლებელია ასეთი პასუხი გავცეთ: ალბათ, ყველაზე ცუდი პერიოდი უკან დარჩა, თუმცა რასაკვირველია კრიზისი არ დასრულებულია. ამას განაპირობებს ის, რომ ფინანსურმა კრიზისმა თანდათანობით ტრანსფორმაცია ეკონომიკური კრიზისის სახით განიცადა. ამიტომაც კავკასიის რეგიონში პოსტკრიზისული პერიოდი ბევრად შენელებული იქნება, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით.

პრესკონფერენციის დროს ოლივიე დეკამპმა გაზეთ "24 საათის" ორ შეკითხვას უპასუხა.

- საქართველოს ეკონომიკის რეცესიისგან გამოსვლის ერთ-ერთი წინაპირობაა, ბანკებმა გრძელვადიან სესხებზე შეზღუდვები მოხსნან, რათა ადგილობრივ კომპანიებს საქმიანობის გასაგრძელებლად ფულადი სახსრების მოზიდვის საშუალება ჰქონდეთ. საინტერესოა, ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმას თუ შეძლებენ ის ბანკები, რომლებიც ევრობანკის ინვესტიციებით მოსარგებლები არიან?

ოლივიე დეკამპი: შეზღუდვების მოხსნა ბანკების მიმართ ნდობის გაზრდასა და საწესდებო კაპიტალის გამყარებაზეა

დამოკიდებული. გასული წლის კრიზისიდან მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით ბანკებს 350 მილიონი დოლარი გამოეყო. ეს თანხა ბანკების გრძელვადიანი დავალიანების რესტრუქტურირებისთვისა და მოკლევადიანი სესხების გაცემის აღდგენისკენ არის მიმართული. ამ ნაბიჯის გადადგმის გარეშე საქართველოში სერიოზული ფინანსური კრიზისი განვითარდებოდა. თავდაპირველად ევრობანკის ძალისხმევით ბაზარზე არსებული ორი ლიდერი ბანკის საწესდებო კაპიტალის გაძლიერებისკენ იყო მიმართული. მიმდინარე რეცესიის პირობებში ბანკები ცდილობენ, რისკებს თავი აარიდონ და ამიტომაც ქვეყანაში დაკრედიტების მოცულობა შემცირდა. შეიძლება ითქვას, ბანკები ერთის მხრივ სწორად იქცევიან - მათ არ სურთ, ახალი პარტნიორები გაიჩინონ, ანუ გასცენ კრედიტები და ახალი ვალდებულებები აიღონ; მეორეს მხრივ, მსგავსი ფრთხილი ნაბიჯები ბანკების მხრიდან უარყოფითად მოქმედებს იმ კომპანიების საქმიანობაზე, რომლებიც ცუდ ფინანსურ მდგომარეობაში არიან. ბევრი მათგანი, სავარაუდოდ, მომავალი წლის გაზაფხულისათვის უკვე გაკოტრებული იქნება. ამის შედეგად ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტი შემცირდება. ამიტომაც ვამბობთ, რომ საქართველო რეცესიის პროცესიდან შენელებული ტემპით გამოვა. ამ ეტაპზე ევრობანკი ცდილობს ადგილობრივი კომპანიების კორპორატიულ გაძლიერებას ხელი შეუწყოს, რაც რისკების თავიდან აცილების წინაპირობაა.

- საქართველოში შემოსული ფინანსური დახმარების დიდი ნაწილი ინფრასტრუქ-

ტურის ან მუნიციპალური პროექტების განვითარებას ხმარდება. საინტერესოა, გლობალური პროექტების განხორციელებაში კერძო ოპერატორების ჩართვა დღემდე რატომ არ ხერხდება?

ოლივიე დეკამპი: საქართველო ღიბარაღური ეკონომიკის განვითარების გზას დაადგა. დღემდე მიმდინარე მასშტაბურ პროექტებში საქართველოს მთავრობა პარტნიორის სახით მონაწილეობს. ინფრასტრუქტურისა და საგზაო პროექტებს ძირითადად მსოფლიო ბანკი, ჩვენ და საერთაშორისო განვითარების სააგენტო განახორციელებს. მაგრამ სამყარო იცვლება და დადგება ისეთი დრო, როცა საქართველოს მთავრობა შეძლებს იმ დონის ტენდერი ჩატაროს, როდესაც ქვეყანაში შემოვა კერძო ოპერატორი და ტენდერში მონაწილეობას მიიღებს.

ევრობანკი ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოში განვითარებული კონფლიქტური მდგომარეობისა და გლობალური ფინანსური კრიზისის საპასუხოდ ევრობანკმა ქვეყანაში 300 მილიონი აშშ დოლარი დააბანდა - უმეტესად ფინანსურ სექტორში. ენერჯეტიკის, კორპორატიულ და ფინანსურ სექტორებში დაგეგმილი პროექტების განსახორციელებლად 2010 წელს მოსალოდნელია, ევრობანკის ინვესტიციებმა 450 მილიონ დოლარს გადააჭარბოს. ამ ეტაპზე ევრობანკის საერთო ინვესტიციები საქართველოში 1 მილიარდ დოლარს აღემატება. ეს რესურსები დაბანდებულია ქვეყნის ეკონომიკის მრავალ სექტორებში განხორციელებული 120 პროექტის ფარგლებში.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა აზერბაიჯანთან 452 მლნ 900 ათას აშშ დოლარს შეადგენს

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა აზერბაიჯანთან, მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში, 452 მლნ 900 ათას აშშ დოლარს შეადგენს.

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ პერიოდში დაფიქსირებული მონაცემების 64,5 პროცენტია.

აზერბაიჯანი ამ მაჩვენებლებით თურქეთის შედეგ საქართველოს სავაჭრო პარტნიორთა რიგებში მეორე ადგილზეა.

საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით, ექსპორტი აზერბაიჯანში შემცირებულია 35 მლნ 700 ათას აშშ დოლარით და 145 მლნ 322 ათასი აშშ დოლარს შეადგენს. უმსხვილესი საქეპორტო სასაქონლო ჯგუფებია მსუბუქი ავტომობილები (33,2 მლნ აშშ დოლარი) და ცემენტი (20,3 მლნ აშშ დოლარი).

აზერბაიჯანიდან იმპორტი კი, 213 მლნ 300 ათასი აშშ დოლარით შემცირდა და 307 მლნ 600 ათასი აშშ დოლარზე ფიქსირდება, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 59,1 პროცენტია. **ინტერპრესნიუსი**

ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 1.6735 ლარის ნიშნულზე გამყარდა

ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.6735 ლარის ნიშნულზე გამყარდა.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, შესაბამისად, ხვალ ძალაში შევა ოფიციალური გაცვლითი კურსი 1 აშშ დოლარი 1.6735 ლარი.

28 ნოემბრის ოფიციალური კურსით კი 1 აშშ დოლარი 1.6743 ლარი ღირდა. **ინტერპრესნიუსი**

გოგი თოფაძე: "ყაზბეგს" პროდუქციის საქეპორტოდ გატანაში პრობლემები ექმნება"

კომპანია "ყაზბეგს" პროდუქციის საქეპორტოდ გატანაში პრობლემები ექმნება. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" კომპანიის პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ განუცხადა.

ბიზნესმენი აღნიშნულს საგადასახადოს სამსახურის მიერ დარიცხული თანხის გადაუხდელობას უკავშირებს.

"პრინციპულად არ ვაპირებ დარიცხული თანხის გადახდას. წაიღონ რუსთავის ქარხანა და ეს იქნება ერთ-ერთი მაგალითი არსებული კანონმდებლობისა. სახელმწიფომ დაიწყო რეკეტი მენარმეებზე. ვილაცამ უნდა ამოიღოს ხმა," - განაცხადა თოფაძემ.

მისი თქმით, უკვე ერთი კვირაა "ყაზბეგის" პროდუქციით დატვირთულ კონტეინერებს, რომელსაც პროდუქცია ექსპორტზე უცხოეთში უნდა გაეტანა, საბაჟო სამსახური არ ატარებს.

"ეს არის ჩემ წინააღმდეგ ერთ-ერთი ბერკეტი.. ამას გარდა, დააკავს რუსთავის ქარხნის რამდენიმე თანამშრომელიც," - აღნიშნა ბიზნესმენმა.

თოფაძის თქმით, უცხოელი ინვესტორი მზად იყო, "ყაზბეგის" რუსთავის ქარხანაში 33 მლნ აშშ დოლარი გადაეხადა, თუმცა ბიზნესმენმა მისი გაყიდვისგან, ქართული წარმოების განვითარების მოტივით, უარი განაცხადა. გოგი თოფაძე აცხადებს, რომ მის საწარმოს სახელმწიფო ბიუჯეტში 33 მლნ ლარზე მეტი აქვს შეტანილი.

საგადასახადო სამსახური "ყაზბეგის" რუსთავის ქარხანას გადასახადების გადაუხდელობას ედავებოდა და რამდენიმე თვის განმავლობაში ქარხანაში შემომავალ ნარაზებსა და ნარაზების შედეგად, საგადასახადო სამსახურმა ქარხანას 3,5 მლნ ლარი დაარიცხა. საგადასახადო სამსახური ქარხნის თანამშრომლების კვების, ასევე, იმ მაცივრებისა და დანადგარების დაბეგრვას ითხოვს, რომლებსაც კომპანია სუპერმარკეტებსა და რესტორნებს უსასყიდლოდ გადასცემს.

"ყაზბეგის" რუსთავის ქარხანაში ამ ეტაპზე 350 ადამიანი დასაქმებული. ზაფხულობით ქარხანა დამატებით კიდევ რამდენიმე ათეულ ადამიანს ასაქმებს. **ინტერპრესნიუსი**

2009 წლის 29 ნოემბერს, პირველი არხის ეთერში, „საქართველოს ბანკის“ გათამაშების, „100 ბაზარჯივებული საქართველოს ბანკში“ გამარჯვებული ბილეთების ნომრები

- CDS1397706
- CDS1436926
- CDS1092299
- CDS1384702
- CDS1380621
- CDS1395326
- CDS1460469
- CDS1027736
- CDS1465051
- CDS1338114

კოლუმბია თავს "ბურჟუაზიულად" ბრძნობს

მარიკა იაზვილი



ალვარო ურიბე



უგო ჩავესი

ეკვადორის დედაქალაქ კიტოში სამხრეთ ამერიკის ერების კავშირის შეხვედრაზე კოლუმბია მხოლოდ "ტექნიკურ" დელეგაციას გაგზავნის. ამ შეხვედრაზე, არსებული ინფორმაციით, კოლუმბიის მიერ ამერიკასთან გაფორმებული სამხედრო-ანტიტერორისტული შეთანხმებები იქნება განხილული.

"ბოლო დროს არსებული დაძაბულობა და კოლუმბიის მთავრობისა და ხალხისადმი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება არ გვაძლევს უფლებას, ვიფიქროთ, რომ შეხვედრაზე განხილვა პატივისცემითა და ობიექტურად მოხდება," - ნათქვამია კოლუმბიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. ამიტომ, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰაიმე ბერმუდესი და თავდაცვის მინისტრი გაბრიელ სილვა არ დაესწრებიან შეხვედრას, რომელზეც მათ ამერიკასთან გაფორმებული შეთანხმება უნდა დავიწყებოთ. ეს შეთანხმება ვაშინგტონის აძლევს უფლებას, ისარგებლოს კოლუმბიაში არსებული შვიდი სამხედრო ბაზით. ამერიკასა და კოლუმბიას შორის ასეთი ხელშეკრულების გაფორმებამ რეგიონში ძლიერი შეშფოთება და კოლუმბიის პრეზიდენტ ურიბეს მიმართ მისი ვენესუელელი

კოლეგა უგო ჩავესის ღია უკმაყოფილება გამოიწვია.

საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე კოლუმბიის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის მზად არის, თუმცა "შეურაცხყოფის" ატანას არ აპირებს.

"მთავრობა მზად არის, სამხრეთ ამერიკის ერების კავშირის შეხვედრაში მონაწილეობა მიიღოს, რათა რეგიონში დაძაბულობა შესუსტდეს, მაგრამ თუ დანარჩენები კიტოში კოლუმბიისთვის შეურაცხყოფის მისაყენებლად ჩამოდიან, გვირჩევენია, იქ არ გამოვჩნდეთ," - განაცხა-

და სილვამ.

ჩავესმა კოლუმბიასთან ურთიერთობა აგვისტოში განყვიტა და მოქალაქეებს ომისთვის მზადებისკენ იმ საბაბით მოუწოდა, რომ აშშ და კოლუმბია რეგიონისთვის საფრთხეს წარმოადგენენ.

ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრი ნიკოლას მადურო აცხადებს, რომ იგი სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ლიდერთა შეხვედრაზე კოლუმბიის მხრიდან "შეიარაღებული შეჭრისა და დესტაბილიზაციის მცდელობის მტკიცებულებებს" წარმოადგენს.

თავის მხრივ კოლუმბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ორგანიზა-

ციის წევრი ქვეყნები იმისთვის გააკრიტიკა, რომ კოლუმბიისადმი ჩავესის მტრულ დამოკიდებულებას რეაგირება არ ჰქონიათ.

კოლუმბიელთა საპასუხოდ, ჩავესმა ურიბეს და ბერმუდესს "სირცხვილის" ღირსნი უწოდა, ხოლო მათ მიერ სამხრეთ ამერიკის ერების კავშირის დადანიშნულებას დუმილისთვის - "ცინიზმი".

ორმხრივი ურთიერთობების ამ ახალ ეტაპზე ორ ქვეყანას შორის ახალი სასაზღვრო ინციდენტი მოხდა. შედეგად 10 ადამიანი მეტი დაიღუპა.

ბოლო ასეთი ინციდენტი კოლუმბიაში, არაუკამი, ვენესუელას

ჰონდურასში ახალი პრეზიდენტი აირჩიეს

ივან პილაკაძე

გუშინ გამოქვეყნდა ჰონდურასში კვირას გამართული საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგები. ხმათა 60 პროცენტზე ცოტა მეტის დათვლის შემდეგ გაირკვა, რომ პრეზიდენტის პოსტს იკავებს მემარჯვენე ნაციონალური პარტიის ლიდერი, ფერმერი პორფირიო ლობო. მას ამომრჩეველთა, დაახლოებით, 56 პროცენტი უჭერს მხარს. მას სერიოზულად, დაახლოებით 34 პროცენტით ჩამორჩება მეორე პოზიციაზე მყოფი მემარცხენე ლიბერალური პარტიის წარმომადგენელი ელვინ სანტოსი. მეორე ტურის ჩატარება ალბათ საჭირო აღარ იქნება. პოლიტიკური კრიზისის გამო მთავრობა საპროტესტო გამოსვლებს არ გამოიციხავდა და ამიტომ უსაფრთხოების განსაკუთრე-

ბულ ზომებს მიმართა.

ჰონდურასში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა იმან გამოიწვია, რომ ივლისში ქვეყნიდან ძალით განდევნეს მოქმედი პრეზიდენტი მანუელ სელაია. მან ქვეყანაში რეფერენდუმის ჩატარება მოისურვა, რათა მეორე ვადით ეყარა კენჭი, რასაც ქვეყნის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. სელაიას ამ წამოწყებას მხარი არ დაუჭირა არც პარლამენტმა, სადაც მის პარტიას უმრავლესობა აქვს, არც საკონსტიტუციო სასამართლო და არც სამხედროებმა, რომელთაც სელაიამ მხარდაჭერისკენ მოუწოდა. სელაიამ საკუთარი ინიციატივით მაინც დანიშნა რეფერენდუმი, რომლის ჩატარებაც არ აცალღეს. ის სამხედროებმა რეზიდენციიდან ძალით გამოიყვანეს და ქვეყნიდან გააძევეს. საერთაშორისო საზოგადოებამ ეს სამხედრო გადატრიალებად მიიჩ-

ნია. პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი, კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის თავმჯდომარე რობერტო მიჩელეტი გახდა. სამი თვის შემდეგ სელაია საიდუმლო ბილიკებით ქვეყანაში დაბრუნდა და ბრაზილიის საელჩოში დაიმალა. საერთაშორისო საზოგადოებამ მიჩელეტის დროებით ხელისუფლებას კატეგორიულად მოსთხოვა სელაიას პოსტზე აღდგენა - თუნდ დანიშნულ ვადამდე არჩევნებამდე. ამ თემაზე სელაიასა და მიჩელეტის შორის მოლაპარაკებები დაიწყო, თუმცა საბოლოო შეთანხმება მაინც არ შედგა. არჩევნები გუშინ ჩატარდა, მიჩელეტის თავისი კანდიდატურა არ დაუყენებია. დასახელდა სულ ექვსი კანდიდატი, მათგან ორი ექს-პრეზიდენტის ბანაკიდან იყო. თვითონ სელაიამ ხალხს ბოიკოტისკენ მოუწოდა, თუმცა ამ მოწოდებამ, როგორც



პორფირიო ლობო

ჩანს, არ იმუშავა. დღევანდელი გამარჯვებული პორფირიო ლობო საპრეზიდენტო არჩევნებში 2005 წელსაც მონაწილეობდა, მაგრამ სელაიასთან და-

მარცხდა. მეორე ადგილზე მყოფ ელვინ სანტოსს წლების განმავლობაში ეკავა ვიცე-პრეზიდენტის პოსტი სელაიას მთავრობაში.

ლატინური ამერიკის სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა, მათ შორის ყველაზე ბრაზილიამ და არგენტინამ წინასწარ გამოაცხადეს, რომ არ ცნობენ არჩევნების ლეგიტიმურობას მისი შედეგების მიუხედავად, რადგან ეს ივლისის გადატრიალების კანონიერების აღიარებას ნიშნავს. ცხადია, ამ შედეგებზე არც ვენესუელა ცნობს, პრეზიდენტმა ჩავესმა (სელაია მისი პროტეჟეა) ამ არჩევნებს უკვე უწოდა "ელექტორალური ფარსი". სავარაუდოდ, არჩევნების შედეგებს აღიარებენ შეერთებული შტატები, პერუ, პანამა და კოსტა-რიკა. ამერიკის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ არჩევნებს ლეგიტიმურად მიიჩნევს, თუ ის დემოკრატიულად ჩატარდება.

ჰიტლერის საქმა "რკინის ყუთში" იკოვებს

საფრანგეთის ნაციონალური არქივის გახსნის შემდეგ, "რკინის ყუთში", სადაც ქვეყნის ისტორიული ძალზე მნიშვნელოვანი საბუთები და დოკუმენტები ინახებოდა, ჰიტლერის საქმეც იკოვებს.

როგორც გაირკვა, საფრანგეთის სპეცსამსახურები ჰიტლერს 1924 წლიდან უთვალთვლებდნენ. მაშინ იგი მიუნჰენის გაზეთ *Völkischer Beobachter*-ში მუშაობდა, რომელსაც ნაცისტები უშვებდნენ. საგაზეთო სტატიების ავტორად იგი არა ადოლფ შიკლგრუბერს უთითებდა, არამედ, ფსევდონიმს - ადოლფ იაკობს. როგორც ფრანგული გაზეთი *Le Monde* წერს, ეს, მისი ებრაული წარმომავლობის კიდევ ერთი დასტურია.

საფრანგეთის ნაციონალური არქივის დირექტორის იზაბელ ნეშვანდერის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჰიტლერი ნახევრად სამხედრო ფაშისტურ ფრთას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ხელმძღვანელობდა.

მასალებში წერია, რომ დარმშტატში, სამხედროთა მოსამზადებელი სკოლის სარდაფში ჰიტლერის ორგანიზაციის უნიფორმა, რეკლამები და სხვა სახის იარაღი ინახებოდა. გარდა ამისა, თითოეულ მოსწავლეს 2-3 რეზინის ხელკეტი ჰქონდა დარიგებული.


ამ მასალების გარდა აღმოჩენილია, 1923 წლის 8 ნოემბერს, ჰიტლერის მეთაურობით დაგეგმილი, მაგრამ ვერშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების დოკუმენტები. ბავარიის განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, ჰიტლერი იძებნებოდა. თუმცა, საბოლოო ჯამში, იგი სისხლის სამართლის პასუხისცემაში არ მისცეს, რადგანაც, მისგან სერიოზულ საფრთხეს არავინ ელოდა. იმავე დოკუმენტებიდან ჩანს, თუ როგორ მუშაობდა საფრანგეთის მაშინდელი კონტრდაზვერა.

როგორც არქივის XX საუკუნის განყოფილების ხელმძღვანელი მიშელ კონტოში აცხადებს, "რკინის

ყუთში" ნაპოვნი მასალები ვერსალის მშვიდობის დოკუმენტზე ხელისმწერის შემდეგ შექმნილი საკავშირო კომისიის ფრანგული ნაწილია. კონტოში ინფორმაციით, არქივში "საფოსტო მტრელების" მიერ დარიგებული წერილებისა და ისტორიული დოკუმენტების გვერდით, უსაფრთხოების სამსახურის მიერ შეგროვილი დიდი რაოდენობის საგამოძიებო საბუთებიც ინახება.

"გასაიდუმლოებულ მასალებში ინახებოდა, როგორც ჰიტლერის, ისე გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელის გერინგისა და რასისტად ნოდებული გიმლერის საქმეები. ერთი სიტყვით, "რკინის ყუთში" მთელი "მესამე რეიხის" საიდუმლო დოკუმენტები აღმოაჩინეს," - წერს *Le Monde*. იქვეა საიდუმლო მასალები იმის თაობაზე, თუ როგორ ცდილობდა ჰიტლერი თავის მომხრეებთან ერთად საფრანგეთის ნაციონალურ მოძრაობას შეერთებოდა.

აღმოჩენილ დოკუმენტებში არის



კონრად ადენაუერის საქმე, რომელიც მოგვიანებით გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერი გახდა. მაშინ იგი ქალაქ კოლნის ობერ-ბურგომისტრი გახლდათ. 1950-იან წლებში საფრანგეთი-გერმანიის შერიგების ერთ-ერთ ინიციატორზე, ადენაუერზე 1920 წლით დათარიღებულ დოკუმენტებში წერია, რომ იგი მტრულად იყო საფრანგეთის მიმართ განწყობილი.

ნაციონალური არქივის ხელმძღვანელობა ვერ ხსნის, იმ ფაქტს, თუ როგორ მოხდა ჰიტლერისა და მისი თანამოაზრეების საქმე "რკინის ყუთში", რომელიც 1719 წელს აშენებული 2 მეტრის სიმაღლის სარკოფაგია და სადაც საფრანგეთის სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები ინახება. საფრანგეთის ნაციონალური არქივის დირექტორ იზაბელ ნეშვანდერის განცხადებით, აღმოჩენილი საიდუმლო მასალები კარგად შესწავლის შემდეგ, რამდენიმე თვეში, მათ ძირითად ფონდს გადასცემენ, სადაც საბუთებს შეინახვენ.

თანამედროვე მუსიკის 30 წელი

ციფრული ნოვაციებითა და ვარსკვლავების გარდაცვალებით შეცვლილი სამყარო



1 დეკემბერი

თეატრი

მიხეილ თუმანიშვილის თეატრი

არტექსპერიმენტები
ვახუშტი კოტეტიშვილის სსოფნისადმი მიძღვნილი
საღამო

კოტე მარჯანიშვილის თეატრი

სხვეწში
"ქვერივები"
დასაწყისი: 19.00

კინო

კინოფესტივალი "პრომეთე" 1-2 დეკემბერი

რუსთაველი

"პლანეტა 51"

დასაწყისი: 12.00; 13.45; 15.30; 17.15; 19.00; 21.00;

"ამანათი"

დასაწყისი: 12.00; 13.45; 15.30; 17.15;

"2012"

დასაწყისი: 13.00; 16.00; 19.00; 22.00;

"ყველაფერი კარგად იქნება"

დასაწყისი: 12.15; 14.15; 20.15;

"გალმა ნაპირი"

დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 22.15;

"ჯაყოს ხიზნები"

დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 22.15;

ამირანი

"2012"

დასაწყისი: 12.20; 15.40; 19.00; 22.15;

"ახალი მთვარი"

დასაწყისი: 12.00; 15.00; 17.00; 20.00; 22.30

კინოფესტივალის გახსნა - 20.00

საქართველო

"მომღერალი თავგებები"

დასაწყისი: 13.45

"ჭიანჭველის რისხვა"

დასაწყისი: 12.00

"გალმა ნაპირი"

დასაწყისი: 15.30;

"2012"

დასაწყისი: 17.20; 20.40;

გამოფენა

ქარვასლა

ცვალებადი სამყარო - დროის ანარეკლი
ფოტოგრაფია

ტელეკოპი

კერამიკა - თანამედროვე ქართველი კერამიკოსები

ბაია გალერეა

ომარ სააკაშვილის გამოფენა
"ჩემი შემოდგომის გაზაფხული"

თიბისი ბანკის გალერეა

ქეთევან დავლიანიძის გამოფენა

ირანული კულტურის დღეები ეროვნულ ბიბლიოთეკაში

დღეს და ხვალ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო და საკონფერენციო დარბაზებში გაიმართება ირანის კულტურის დღეები.

ლონისძიება დღეს 16 საათზე საგამოფენო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნება. გამოფენილი იქნება ირანული ხელოვნების ამსახველი ფოტოები, ირანული ხელნაკეთი ნივთები და ირანის ისლამური რესპუბლიკის მიერ ეროვნული ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის ცენტრისათვის საჩუქრად გადაცემული ნივთები.


სხვა სტუმრებთან ერთად გამოფენას დაესწრებიან ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი, ქართველი მწერლები, პოეტები, მთარგმნელები და, საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის ჩამოსული ორი ირანელი ლიტერატორი.

ირანელი სტუმრები გამოფენის შემდეგ ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ქართული მწერლობის წარმომადგენლებს შეხვდებიან. შეხვედრა მრგავლი მაგიდის ფორმატში გაიმართება.

ლონისძიების ორგანიზატორები არიან საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო, "კავკასიური სახლი" და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

თანამედროვე ხელოვნება იმდენად სწრაფად ვითარდება და იცვლება, ყველა მოვლენისთვის თვალის მიდევნებას ვერ ვახერხებთ. თუმცა მაინც ხდება ისეთი რამ, რაც სამუდამოდ ტოვებს კვალს, ცვლის წარმოდგენას, გემოვნებას, დამოკიდებულებას და რაც მთავარია, ხდება რაღაც ახლის დასაწყისი ან განვლილი ეტაპის ფინალი. ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის სოციალური კვლევების ექსპერტების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მუსიკალურ სფეროში მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების ჩამონათვალი გაირკვა.

აღმოჩნდა, რომ პირველობა არავის დაუთმო უახლესმა ტექნოლოგიურმა მიღწევამ - მუსიკის ციფრულ ვერსიაში გადატანის, შენახვისა და აღდგენის მეტოდმა. ამ აღმოჩენას ხმა გამოკითხულთა 19%-მა მისცა. ამჟამად აუდიო ჩანაწერის ციფრულად შენახვის ყველაზე გავრცელებული ფორმატი MP3-ია. მისი ზუსტი სახელწოდება კი ასე გამოიყურება MPEG-1/2/2.5 Layer 3. მისი მოსმენა შესაძლებელია პრაქტიკულად ყველა აუდიო ტექნიკის მეშვეობით, მთავარია ეს აუდიოტექნიკა ფორსაჟრავი ან სულაც გრამოფონი არ იყოს. MP3-ის პირველი ვერსია ბაზარზე ჯერ კიდევ 1994 წელს გამოჩნდა. მას მაშინ L3Enc ერქვა და ცხადია, ვერც ხარისხით დაიკვეხნიდა. ფორმატის ავტორები ბრიტანეთის ფრაუნჰოფერის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფია (Moving Picture Expert Group), რომელსაც ციფ-



რული ფორმატის აღსადგენი პირველი პლემის Winplay3-ის გამოგონებაც ეკუთვნის. რეიტინგში მოხვდა 1985 წლის 13 ივლისს ლონდონის "უემბლისა" და ფილადელფიის ჯონ კენედის სახელობის სტადიონებზე გამართული ლეგენდარული კონცერტი Live Aid - ეთიოპიის შიმშილით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად ორგანიზებული მასშტაბური ღონისძიება, რომელმაც მოგვიანებით მელბურნსა და ტოკიოშიც გადაინაცვლა. საქველმოქმედო კონცერტებისას შეგროვდა 284 მილიონი დოლარი, თანხა მთლიანად ეთიოპიის რეაბილიტაციის პროგრამებს მოხმარდა. პირველი კონცერტი "უემბლისზე" პრინცმა ჩარლზმა და პრინცესა დაიანამ გახსნეს, შემდეგ დიდი ბრიტანეთის პრინცი უილიამი, მისი დასრულებისთანავე კი სცენაზე პირველი ჯგუფი Status Quo გამოვიდა. ლონდონისა და ფილადელფიის კონ-

ცერტებში შემდეგი ჯგუფები და შესრულებები მონაწილეობდნენ: Queen, დევიდ ბოუი, Dire Straits, The Who, ელტონ ჯონი, პოლ მაკარტნი, The Boomtown Rats, Ultravox, ელვის კოსტელო, შადე, სტინგი, ფილ კოლინზი, ბრაიან ფერი, U2, Black Sabbath, Run-D.M.C., Crosby, Stills and Nash, Judas Priest, ბრაიან ადამსი, კარლოს სანტანა, მადონა, ტომ პეტი, ბობ დილანი, მიკ ჯაგერი და უამრავი სხვა ვარსკვლავი. ამრიგად შეუძლებელი იყო, რომ ეს კონცერტები მუსიკის მოყვარულებს სამუდამოდ არ დამახსოვრებოდათ, მით უმეტეს, რომ ისინი ქველმოქმედების სახელით ჩატარდა და ამ აქტის სიმბოლოდაც იქცა. შემდეგ მიღწევად გამოკითხვები კვლავ ტექნოლოგიურ ნოვაციას მიიჩნევდნენ. ეს არის კომპანია "ეპლის" პორტატული ციფრული ფლეიერი iPod. ეს პროდუქტი ბაზარზე 2001 წლიდანაა და დღემდე

პრაქტიკულად უალტერნატივოდ მიიჩნევა. ამჟამად არსებობს iPod classic, iPod touch, iPod nano და iPod shuffle. ყველა მათგანი უნიკალურ ტექნოლოგიურ მარჯვენებებს აერთიანებს და სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მომხმარებლისთვისაა მიზანშეწონილი. მისი გამოყენება არა მხოლოდ აუდიო ფაილების, არამედ ფოტო და ვიდეოინფორმაციის შესანახადაც შეიძლება. გამოკითხულთა 13%-ის აზრით, მუსიკალურ სამყაროსთვის მნიშვნელოვანი მოვლენა, უფრო კი დანაკლისი იყო მაიკლ ჯექსონის გარდაცვალება. პოპის მეფე რამდენიმე თვის წინ 49 წლის ასაკში გარდაიცვალა, მისი ტიტული კი მხოლოდ სიტყვები არ იყო - მან ნამდვილად შეძლო მთელი ეპოქის შექმნა, ჩამოაყალიბა თანამედროვე მუსიკალური მიმდინარეობა, შემოიტანა შესრულების დამახასიათებელი სტილი და ამ ყველაფრით ლეგენდად იქცა. ჯექსონის სიკვდილის გარდა მნიშვნელოვან დანაკარგად მიჩნეულია ჯონ ლენონისა და "ნირვანას" ლიდერ კურტ კობეინის სიკვდილი. რესპონდენტებმა მიიჩნიეს, ეს მუსიკოსები რომ არ მომკვდარიყვნენ, მუსიკალურ სფეროში კიდევ შეძლებდნენ ახალი მწვერვალების დაპყრობას. გამოკითხულთა ნაწილმა უკანასკნელი 30 წლის მნიშვნელოვან მოვლენებად ასევე დაასახელა მუსიკალური ტელეარხების დაარსება, ვიდეოკლიპების კულტურის შემოღება, ახალი ტალანტების გამოსავლენად ჩატარებული სატელევიზიო შოუები და სხვა.

ლიტერატურული კონკურსი უნივერსიტეტში

"შაემანი", რომელსაც ასე ეწოდნენ...

ნინო ხარატიშვილი

ოქტომბერში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და "ჯეოსელის" ერთობლივი თანამშრომლობით, ლიტერატურული კონკურსი, - "შემოდგომის ლეგენდები" გაიმართა. შესარჩევ ტურში მონაწილე 86 სტუდენტთან ერთად, რომელსაც სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები შეადგენდნენ, 20 საუკეთესო შეარჩია. გამარჯვებულები იყალიბდნენ, 20 საუკეთესო შეარჩია. გამარჯვებულები იყალიბდნენ, 20 საუკეთესო შეარჩია. გამარჯვებულები იყალიბდნენ, 20 საუკეთესო შეარჩია.

ფიურჩი, რომელსაც მწერალ-პუბლიცისტიკები: დათო ტურაშვილი, ლაშა ბაქრაძე, დავით ქართველიშვილი და როსტომ ჩხეიძე წარმოადგენდნენ სამი გამარჯვებული გამოავლინეს. მათი ვინაობაც 27 ნოემბერს, თბილისი ბანკის ცენტრალურ ოფისში გამართულ დაჯილდოებაზე გახდა ცნობილი. ნანარმოებთა განხილვა მთლიანად ფიურჩის ჰქონდა მინდობილი. შეფასების კრიტერიუმი ძირითადად კრეატიულობა და ორიგინალურობა იყო. დაჯილ-

დობის დაწყებამდე ფიურჩის ერთ-ერთმა წევრმა, ლაშა ბაქრაძემ მონაწილეებს მიმართა და აღნიშნა, რომ მათი გადაწყვეტილება სუბიექტურია: "ფიური ყოველთვის ძალიან სუბიექტურ არჩევანს აკეთებს, რადგან თავად სუბიექტებისაგან შედგება, ობიექტური მხოლოდ ობიექტი შეიძლება იყოს, ამიტომ გულის გატეხვის საფუძველი არც ერთ თქვენთაგანს არა აქვს! - დასძინა მან. პირველი ადგილი და 1000-ლარიანი ჯილდო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტს, სალომე მხეიძეს ერგო. მან თავის ნოველაში, სახელწოდებით - "რა სურთ ქალებს" ერთი ბანალური შეხვედრა - გოგოსა და ბიჭის პაემანი, ორიგინალურად აღწერა და პირველი გამარჯვებაც მოიპოვა. გასულ წელს lib.ge-ს მიერ გამართულ კონკურსშიც მონაწილეობდა, მაგრამ პრიზი ვერ დაიმსახურა.

მეორე ადგილზე მესამე კურსელი დავით გორგილაძე გავიდა, რომელმაც, ამავდროულად, "ჯეოსელის" სიმპათიაც დაიმსახურა. მან 700 ლარი დაქსელში ჩართული მობილური ტელეფონი "ხოსე და ქვესკენ-

ლისფერტიმანი გოგონასათვის" მიიღო, სადაც მახინჯი ხოსესა და უღამაზესი გოგონას ვირტუალური შეხვედრები გადმოსცა. მესამე ადგილი და 500 ლარიანი ჯილდო, მარიამ ტაბალუას ერგო მოთხრობისათვის - "კიდევ ერთ მოსაწყენ ამბავზე" ანუ, "როგორ ვერ დავენერე მოთხრობა." სტუდენტური თვითმართვლობის რჩეული, გიორგი უხანაშვილი გახდა თავისი "პაემანით მთვარეზე". მეორის მონაწილეს კი ფსიქოლოგიური მიმართულების მესამე კურსის სტუდენტმა, მარიამ ბეჩაურმა დაიმსახურა ნოველისათვის - "ლილიანები", სადაც მას მეძვირ გოგოს შეხვედრები ბიჭის ენით აქვს გადმოცემული. მას მერიის საკრებულოს თავმჯდომარემ, ზაალ სამადაშვილმა ლეპტოპი გადასცა.

აღნიშნული პროექტის განხორციელების იდეა თავდაპირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიბადა. მისი იყალიბება განხორციელება კი კომპანია "ჯეოსელის" ინიციატივა იყო. "თანამედროვეობისა და წარსულის სინთეზი, ყველაფერი, რაც ჩვენი ტრადიცია და ისტორიაა, ახლანდელ ეპოქაში

სათანადოდ უნდა დავაფასოთ და გამოვიყენოთ." - აღნიშნა კომპანიის პიარ-მენეჯერმა, ირმა ცქიტიშვილმა. უნივერსიტეტის რექტორის, გიორგი ხუბუას განცხადებით კი პროექტს ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა: ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და ქართული კულტურული ძეგლების პოპულარიზაცია. "ეს ორივე მისია ამ ეტაპზე წარმატებით განხორციელდა, ამიტომ კონკურსი ყოველ შემოდგომაზე, სხვადასხვა ისტორიულ ადგილას ჩატარდება და ტრადიციულ ხასიათს მიიღებს." - აღნიშნა მან. ვარდა ამისა, პროექტით აღფრთოვანებულია სტუდენტური თვითმართვლობის პრეზიდენტი, გიორგი შამათავა. მისი თქმით, ამ ინიციატივამ უპირობოდ გაამართლა, რაც უპირველესად იმაში გამოიხატა, რომ სტუდენტებში დიდი ენთუზიაზმი და ინტერესი გამოიწვია. კონკურსში მონაწილე ოცივე სტუდენტს შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცათ, ამასთან ალსანიშნავია, რომ მათი ნაწარმოებები სპეციალურად დამზადებულ ბროშურებშიც დაიბეჭდება.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2009 წლის 30 დეკემბერს ატარებს აუქციონს პირობით

აუქციონზე გამოტანილი იქნება ქრუსთავის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები კომერციული საქმიანობისათვის

№	მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა	ფართობი	ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ფასი	“ბე”	ბიჯი
1	ქრუსთავი, მე-7 მკრ/რ. №5 და №9 მ/ტ.	24	02	03	04	425	232	92	100
2	ქ. რუსთავი, თოდრიას მე-2 ნიხი №4-ის მ/ტ.	1500	02	04	02	341	14490	5796	1000
3	ქ. რუსთავი, ფალიაშვილის ქ. №12-ის მ/ტ	396	02	04	03	368	3992	1596	300
4	ქ. რუსთავი, მე-20 მკრ/რ. №25-ე სკოლის მ/ტ.	450	02	03	02	564	4347	1738	500
5	ქ. რუსთავი, ქ. შარტავას გამზ. №4 მ/ტ	320	02	03	04	437	3092	1236	300
6	ქრუსთავი, მე-16 და მე-17 მკრ/რ-ებს შორის მ/ტ.	1050	02	02	03	794	10143	4057	1000
7	ქ. რუსთავი, ახმეტელის ქ. №6 მ/ტ.	80	02	04	02	336	772	308	100
8	ქ. რუსთავი, მე-18 მკრ/რ. მ/ტ.	299	02	02	02	552	2512	1004	200
9	ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ. №31 მ/ტ.	43	02	04	02	335	434	173	100
10	ქ. რუსთავი, მე-15 მკრ/რ. ყოფილი სახლმშენებლობის მ/ტ.	168	02	03	02	554	1622	648	100
11	ქრუსთავი, მე-12 მკრ/რ. ბინა №7 მ/ტ.	23	02	02	04	172	222	88	100
12	ქ. რუსთავი, რჩეულიშვილის ქ. №16 მ/ტ.	72	02	05	02	167	605	242	100
13	ქ. რუსთავი, ნ. ნიკოლაძის №3 მ/ტ.	200	02	05	07	555	2176	870	200
14	ქ. რუსთავი, დ. გარეჯის ქ. №17 პროფ.სასწ. მ/ტ.	1875	02	05	05	874	18112	7244	1000
15	ქ. რუსთავი, მე-8 მკრ/რ. ბინა №14 მ/ტ.	80	02	03	04	419	775	310	100
16	ქრუსთავი, დ. აღმაშენებლის გამზ. მ/ტ.	2130	02	02	04	166	17892	7156	1000
17	ქ. რუსთავი, ლეონიძის ქ. მ/ტ.	186	02	03	02	574	1797	718	200
18	ქ. რუსთავი, ლეონიძის ქ.	124	02	03	02	504	1200	480	200
19	ქ. რუსთავი, ნ. ნიკოლაძის ქ. რკინიგზის სადგურის მ/ტ.	1710	02	05	05	873	14364	5745	1000
20	ქრუსთავი, მეგობრობის გამზ. №41 მ/ტ.	150	02	04	02	364	1512	605	200
21	ქრუსთავი, სამგორის ქ. №35 მ/ტ.	1000	02	05	03	408	8400	3360	800
22	ქ. რუსთავი, სამგორის ქ. №35 მ/ტ.	145	02	05	03	407	1218	487	200
23	ქ. რუსთავი, 21-ე მკრ/რ. №2 ბინის მ/ტ.	504	02	03	02	591	4870	1948	500
24	ქ. რუსთავი, მესხიშვილის ქ. №9 მ/ტ.	66	02	04	02	369	640	256	100
25	ქ. რუსთავი, ბარნოვის ქ. №6 მ/ტ.	102	02	05	02	177	860	344	100
26	ქრუსთავი, კლდიაშვილის ქ. №19 მ/ტ.	60	02	04	03	382	605	242	100
27	ქ. რუსთავი, დ. გარეჯის ქ. მ/ტ.	342	02	07	02	536	3304	1322	500
28	ქ. რუსთავი, გეგარინის ქ. მ/ტ.	300	02	05	06	528	2898	1160	300
29	ქ. რუსთავი, რუსთაველის ქ. მ/ტ.	55	02	05	06	527	600	240	100
30	ქრუსთავი, დ. გარეჯის ქ. მ/ტ.	1100	02	05	05	882	10626	4250	1000

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.
 აუქციონში გამარჯვებული მიიღება ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მიიღება არ მიეცემა საკუთრების უფლება და “ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.
 აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი №20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე. აუქციონი გაიმართება 16 საათზე

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
- ბ) “ბე“-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს;

ს.ს. “საქართველოს ბანკი” რუსთავის ფილიალი
 ბ.კ. 220101502
 საიდენტიფიკაციო კოდი 216433287
 ა.ნ. №266897601 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება).
 გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
 220101222 სახელმწიფო ხაზინა, 200122900 ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (რუსთავი) სახაზინო კოდი 300063282
 (სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)
 დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
 ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
 ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)
 აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაბამისად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწილის ფასზე “ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.
 დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
 ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20
 ტელ: (824) 12 12 66

შპს “მიქსორი“-ს (ს/ნ 205249827) და შპს “დანდი 2007“-ის (ს/ნ 223238262) პარტნიორის 2009 წლის 17 ნოემბრის გადამწყვეტილებით უნდა განხორციელდეს შპს “მიქსორი“-ს და შპს “დანდი 2007“-ის შერწყმა, კერძოდ, შპს “მიქსორი“-ს უნდა მიუერთდეს შპს “დანდი 2007“-ი (შერწყმა მიერთებით). აღნიშნულთან დაკავშირებით ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს შპს “მიქსორი“-ს და შპს “დანდი 2007“-ის დირექტორს მისამართზე: ქ. თბილისი, გ. ხანძთელის №1, ტელ. 895229936.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი “დავების განმხილველი ცენტრი” DRC-ს სასამართლო მხარისათვის დეტალებს მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმომადგენელი ური ზუკოი-ის საარბიტრაჟო პრეტენზია ევგენია კიკვაძის მიმართ.

სხენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 11 დეკემბერს, 12:00 საათზე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი “დავების განმხილველი ცენტრში” შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, IV ბლოკი, I სართული.

სხენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ევგენია კიკვაძე, მცხოვრები: ქ. თბილისი, საირმის ქ. კორპ. 8, ბინა 17

შპს “საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კომპანია” აზრკალაზს ფასთა გამომკითხვას გაუშავების 35-10-0,4 კვ კაპის ელექტრომომწოდებლობა-დანადგარების ტესტირების და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეხასხებ დასკვნის მომზადების სამუშაოების შესახებ

კორპორაცია გააფორმებს ხელშეკრულებას იმ ორგანიზაციასთან, რომელსაც აქვს აკრედიტირებული ლაბორატორია და რომელიც წარმოადგენს საუკეთესო პირობებს მინიმალური ანაზღაურების მოთხოვნით. სამუშაოს შესრულების ვადა შეადგენს 7 (შვიდ) სამუშაო დღეს ხელშეკრულების გაფორმებიდან.

წინადადების წარმოდგენისათვის საჭირო დოკუმენტაცია და პირობები:

1. აკრედიტაციის მოწმობა ანალოგიური სამუშაოს ჩატარებაზე;
2. ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების და გამოცდილების შესახებ;
3. სარეგისტრაციო მონაწილეები (წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლი და მოქმედების ვადის მქონე ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან);
4. საკონტაქტო პიროვნების კოორდინატები: საპასპორტო მონაცემები, სახელი, გვარი, თანამდებობა, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის და ფაქსის ნომრები;
5. წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე;
6. ვანფასება უნდა იყოს წარმოდგენილი ლარებში (დღგ-ს გარეშე);

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა - 4 დეკემბრის 15 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. №14 (ყოფილი - დელისის მე-3 შესახვევი №22), მე-5 სართული, გენ. დირექტორის მისაღები. დამკვეთი იტოვებს უფლებას, არ მიიღოს წინადადება მისი წარმოდგენის ვადის გასვლის შემდეგ.
 დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით: საკონტაქტო პირს - ლალი გოგიშვილი 899 51 30 02, 21 03 55, ელ.მის. I-gogishvili@giec.ge

მედია და პოლიტიკური წესრიგი

ბიჭო მორთაძე
საქართველოს დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე

მედიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი მეტწილად განაპირობებს ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს და ვფიქრობ, ეს საკამათო არ უნდა იყოს. სწორედ ეს ურთიერთობები უყრიან საფუძველს ახალ პოლიტიკურ წესრიგს.

როგორი უნდა იყოს ეს წესრიგი?

პირველ ყოვლისა, სახელმწიფო გადაწყვეტილებებისა და კანონების მიღების პროცესში მაქსიმალურად უნდა იყოს ასახული და გაზიარებული საზოგადოებრივი და სამოქალაქო ინტერესები. ამ თვალსაზრისით, მედია შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკური სივრცის ორგანიზაციის განსაკუთრებულ ფორმად. რადგან, მისი საშუალებებით იქმნება პირობები სოციალური აუდიტორიის ინტერესთა პოზიციონებისა და მანიფესტაციისათვის. სწორედ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ხორციელდება კონტაქტი და ზეგავლენა სახელმწიფო მართვის სტრუქტურებზე.

თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური წესრიგის ორგანიზებას ახდენს მედია და მედიაპოლიტიკა. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ჩამოყალიბებას იმ ფორმით, რომელსაც ხელმძღვანელებს პოლიტიკური წესრიგის ორგანიზება, განაპირობებს ინდუსტრიალიზაცია და თავისუფალი ბაზრის არსებობა. ამ რეალობამ შექმნა ისეთი მცნებები, როგორიცაა "მედიაბაზარი" და "მედია ბიზნესი" და რაც, თავის მხრივ, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე კონტროლს ეფუძნება. იქმნება ვითარება, როცა პოლიტიკოსები აღმოჩნდნენ დამოკიდებული სწორედ ამ ბიზნეს სფეროზე. ხშირ შემთხვევაში ხდება პოლიტიკოსთა და მედიაკაპიტალის მფლობელთა ინტერესთა თანხვედრა. არის ვითარებაც, როცა სახეზე ინტერესთა კონფლიქტია. ორივე შემთხვევაში მათი მიზანია "გავლენისა და ძალაუფლების მოპოვება".

ციფრული მაუნწყებლობის ფორმის გაჩენასთან ერთად გამოჩნდა ახალი და უზარმაზარი საშუალებები. ტექნიკურ სირთულეს აღარ წარმოადგენდა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილამდე ინფორმაციის მიტანა. შეიქმნა გლობალური სივრცითი ქსელი და, ამ უსასრულოდ დიდ სივრცეში შესაძლებელი გახდა ფულადი კაპიტალის მიმოსვლა დაბრკოლებების გარეშე. ერთდერით ინსტრუმენტი კი მოგების მიღებისა გახდა საინფორმაციო ტექნოლოგიები და საინფორმაციო პოლიტიკა.

ამდენად, ეკონომიკური სივრცის ვირტუალიზაცია, პოლიტიკური სივრცის ფორმირებასაც განსაზღვრავს, რასაც შედეგად ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების ტენდენციებიც მოჰყვება.

ამ ვითარებაში ინფორმაცია ძალაუფლების რესურსიცაა. ეს ის საშუალებაა, რომლის გამოყენების ხარისხზეა დამოკიდებული მიზნის მიღწევა. იქნება ეს ბიზნესმოგება თუ ძალაუფლების მოპოვება. "როგორ" იქნეს გამოყენებული ინფორმაცია - ამას ტექნიკური საშუალებები განსაზღვრავს.

მედია სივრცის გაფართოებასთან ერთად (ვგულისხმობ ინტერნეტის ქსელსაც), მედიამართვის მექანიზმებში, სულ უფრო მთავარი ხდება "მედია რეჟისურა" და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების საქმიანობის სცენარიზება, უზარმაზარი საინფორმაციო ნაკადების კონსტრუირება და მართვა, რაც ახდენს პოლიტიკის ველის ტრანსფორმირებასაც. ამ პროცესების გათვალისწინებით, მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის ჩნდება კონტაქტის ისეთი ფორმები, როგორიცაა მაგალითად "სამოქალაქო რეპრეზენტაციები" და სხვადასხვაგვარი გამოკითხვები.

მედია გვევლინება, როგორც მთავარი სტიმულატორი საზოგადოებრივი აზრის გააქტიურების საქმეში, ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხთან მიმართებაში. და რადგან უსაზღვროდ გაიზარდა ინფორმაციის მოცულობა (რეალური და ადამიანის მიერ შექმნილი "ხელოვნური" ინფორმაცია) - მოვლენები იძენს პოლიტიკურ მნიშვნელობას.

მედიას შეუძლია მასობრივი პროტესტისა და არეულობის პროვოცირება, პოლიტიკური სკანდალის შექმნა, პოლიტიკური კრიზისის გამოწვევა. ასევე შეუძლია კრიზისული სიტუაციის განმუხტვა და კონფლიქტის აცილება.

მედიას შეუძლია განახორციელოს ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგი და ასევე შეუძლია "კონტროლი და მონიტორინგი" ჩაანაცვლოს არაკონსტრუქციული კრიტიკითა და ლანძღვა-გინებით.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ახდენს მოქალაქეთა პოლიტიკურ შეხედულებათა ფორმირებას. აძლევს მათ საშუალებას გადააწყონ პოლიტიკური პრობლემები მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით. ასევე, ხელისუფლების საქმიანობის კრიტიკულ გაანალიზებასაც უწყობს ხელს. ხელისუფლება ვალდებულია მოსახლეობის განწყობას ადევნოს თვალი მედიის საშუალებით, რათა ოპერატიულად და კონსტრუქციულად მოახდინოს მათზე რეაგირება.

ამგვარად, საინფორმაციო ველში, პოლიტიკურ რეალობასთან ერთად ჩნდება რეალობა, რომელსაც ჰქმნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ამიტომ, რომ მედიას ხშირად მოიხსენიებენ არა "მეოთხე", არამედ "პირველ" ხელისუფლებად (ამდენად, ჩემთვის გაუგებარია, როცა მედიის წარმომადგენლები სხვას სთხოვენ თავიანთი უფლებების გაფართოებასა და დაცვას). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მძლავრ იარაღად, მედია გვევლინება მხოლოდ მაღალგანვითარებულ, დემოკრატიულ ქვეყნებში. იქ, სადაც ადამიანის უფლებები პოლიტიკურიდან უკვე სამართლებრივ სიბრტყეშია მოქცეული. ვგულისხ-

მობ, იმ დემოკრატიულ ქვეყნებს, სადაც მოქალაქეს თავისი უფლებების დასაცავად აღარ სჭირდება ისეთი ტრადიციული პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენება, როგორცაა მაგალითად მასობრივი საპროტესტო აქციები, ან, პარტიული წინეხების გამოყენება ხელისუფლებასთან რეზულტატის მისაღწევად. ეს ის ქვეყნებია, სადაც კანონს ამშვენებს სამართალი. ხოლო ქვეყნის კონსტიტუციის დარღვევის სადაზრავოზე თავად სახელმწიფო დგას. ამ ქვეყნებში ხელისუფლების მთავარი ამოცანა თავის მოსახლეობასთან კომუნიკაციაა, რასაც მედია ახორციელებს.

სწორედ, ამიტომ გახდა მედიასივრცე პოლიტიკის ეპიცენტრი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მმართველი ელიტები ესწრაფიან მედიასივრცის კონტროლს. ეს გავლენა იძლევა საშუალებას, აკონტროლონ როგორც მედიაპროდუქტი, ასევე თვალყური ადევნონ საზოგადოებრივი აზრის სიმწვავესაც. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ პირთა ჯგუფს განეკუთვნებიან ის პირები, რომელთაც გააჩნიათ "საინფორმაციო მასობრივი ნაკადების შექმნის" საშუალებები, ან აქვთ ბერკეტები მათი ფორმირებისა და გავრცელებისათვის.

დღეს მთელი მსოფლიოს ძირითადი საინფორმაციო ნაკადები ინტერნაციონალური ცენტრებით კონტროლირდება (90 პროცენტს მთელი ინფორმაციული პროდუქტისა იძლევა 13 ქვეყანა: აშშ, იაპონია, საფრანგეთი, ბრიტანეთი, გერმანია, სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური და სხვ. რუსეთი ამ ბაზარზე თანდათან უფრო ძლიერდება. აღსანიშნავია, რომ მედიასივრცის გაფართოებისათვის ისევე წარმოებს ბრძოლა, როგორც გეოპოლიტიკური გავლენების მოსაპოვებლად. და, ვინაიდან მედიის ბუნებიდან გამომდინარე, ის ვერ ჰგუობს აკრძალვებს, ხშირად ხდება, რომ ერთ სახელმწიფოს მედიასივრცეში ერთმანეთს უპირისპირდება ღირებულებათა სისტემები საინფორმაციო პოლიტიკის სახით. ერთის მხრივ დასავლური, დემოკრატიული ღირებულებები და მეორეს მხრივ ახალი რუსეთის პროტოდემოკრატიული ღირებულებები, როგორც ეს ჩანს საქართველოს მაგალითზე. ჩემის აზრით დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებული ჩვენი ქვეყნის ტელე-მედია სივრცეში სწორედ ამ ღირებულებათა ჭიდილი მიმდინარეობს, რაც ნათლად გამოჩნდა საქართველო-რუსეთის ომის გაშუქების საინფორმაციო პოლიტიკაში სხვა-ასხვა ტელე-რადიო და ბეჭდვითი მედიის მაგალითზე.

დამპყრობლური ომები წინასწარ არის დაპროგრამებული სტრატეგიული მიზნებით და, აქედან გამომდინარე, ასევე დაგეგმილია და კარგად მომზადებული - საინფორმაციო მხარდაჭერაც (ეს კანონზომიერია). ამდენად, რუსეთს მომზადებული ჰქონდა საინფორმაციო ომის საფუძველიც.

ძალიან მოკლე, რუსეთის

საინფორმაციო პოლიტიკური სცენარი ასეთი იყო: საქართველო თავს დაესხა მცირერიცხოვან ოსებსა და აფხაზებს, დაბომბეს მძინარე ცხინვალი და დიდი, ჰუმანური რუსეთი იძულებული იყო დაეცვა პატარა ერები აგრესორი ქართველებისაგან (ან, აგრესორი საქართველოს ხელისუფლებისაგან, რუსეთის მიზნებისათვის ასე უფრო მომგებიანი იყო წარმოსაჩენად), ამიტომ, თუ საქართველოს არ დაუნყია "მძინარე ცხინვალის" დაბომბვა, რუსეთის მთელი საინფორმაციო სტრატეგია ინგრევა, ეცლება საფუძველი. ამდენად, როცა ყველა ფაქტობრივი მასალის უგულვებელყოფით, ჩვენი მედია საშუალებებით ხდება ამ სცენარის პროპაგანდირება (ხაზს ვუსვამ - პროპაგანდირებას), ნათელია, რომ აქ ჩვენ სახეზე გვაქვს საინფორმაციო პოლიტიკა, რომელიც ოფიციალური რუსეთის საინფორმაციო პოლიტიკის იდენტურია.

ამ მაგალითზე ვფიქრობ, რომ დღეს საქართველოს საინფორმაციო მედია სივრცეში არსებობს არა პროსახელისუფლებო და ოპოზიციურ საინფორმაციო საშუალებებს შორის ჭიდილი (თუმცა, ნამდვილად არ ვიცი დაზუსტებით, რომელი მედია საშუალება ვის ეკუთვნის. ამ შემთხვევაში რაც ნაკლებ მნიშვნელოვანია), არამედ, დაპირისპირება პარტოდემოკრატიულ და დემოკრატიულ ღირებულებათა სისტემებს შორის. რამაც ასახვა ჰპოვა ქართულ მედია სივრცეზეც, როცა ჩვენი ქვეყნის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ერთი ნაწილი დაულაღვავდა და ენთუზიამით უწევს ტირაჟირებას სხვა ქვეყნის საინფორმაციო სტრატეგიას.

აღსანიშნავია ასევე დაპირისპირება მედიასივრცეში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის გარშემო. ერთ მხარესაა ევროატლანტიკური ალიანსი, ევროსტრუქტურებისაკენ მისწრაფება და დასავლური ღირებულებები (ჩემი ღრმა რწმენით "პროქართული" თავისი არსით სწორედ "პროდასავლურია"), ხოლო მეორე მხარეს რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნება სხვადასხვა სარჩულით. მაგალითად ნეიტრალიტეტი ან აბსოლუტურად ცალკე მდგომი, "ჭეშმარიტად თავისუფალი" საქართველო, რომელიც არც პრორუსული იქნება და არც პროდასავლური (ეს ხომ წმინდად რუსეთის სტრატეგიაა) - აი, ამ მდგომის ტირაჟირება ხდება სწორედ მედია საშუალებების იმ ნაწილის მიერ, რომელიც ასევე ახორციელებს პროპაგანდას, რომ საქართველო არის აგრესორი (და, თითქოს, ომი დაიწყო მძინარე ცხინვალის მზაკვრული დაბომბვით), რომ ჩვენი პრობლემაა აფხაზებისა და ოსების შემორიგება, ხოლო დაწარჩენი მოგვარდება (ასეთი შინაარსის სარეკლამო ვიდეოგოლები უსასრულოდ ვრიალებს ე.წ. ოპოზიციურ ტელევიზიებში). რა არის ეს, უმეცრეა თუ დაუკვირვებლობა. ვფიქრობ, უმეცრეა მაინც არის, რადგან საქართველოს ისტორიამ გასცა პასუხი ნეიტრალიტეტს (სწორედ ეს

მდგომარეობა აირჩია ყორდანის მთავრობამ, რაც 1921 წელს დასრულდა საქართველოს ანექსიით). აღარ მოვიშველებთ საერთაშორისო სამართალს "ნეიტრალიტეტის" კუთხით, რადგან დარწმუნებული ვარ, ამ შემთხვევაში მცნებების გაყალბებაა - სტრატეგია და არა უცოდინრობა. ერთს დავძენ, რომ მსოფლიოში ორასზე მეტი ქვეყანაა და ყველა რაღაც ალიანსის ნაწილია. ასეა მოწყობილი მსოფლიო წესრიგი და ის, ვინც ენვეა პროპაგანდას, რომ "საქართველო უნდა იყოს ჭეშმარიტად დამოუკიდებელი", არც რუსეთი გვინდა და არც NATO - თვალთმაქცობს. თუ ნახავთ რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებებს, ისინიც ასევე თვალთმაქცობენ - ეს ერთი საინფორმაციო კონსტრუქციაა.

ამ მაგალითებზეც ჩანს, რომ სახეზეა განსხვავებული ხედვა ქვეყნის განვითარებისა და გზების თაობაზე. განსხვავება მდგომარეობს არა პროსახელისუფლებო და ოპოზიციურ ტელე-მედია საშუალებებით მონოღებულ ინფორმაციას შორის, არამედ მიდგომაში.

დღეს საქართველოს მედიასივრცეზე მოქმედებს ორი საინფორმაციო სტრატეგია, ერთი - რომელიც ეფუძნება დასავლურ ღირებულებებსა და დემოკრატიული პრინციპებისაკენ ლტოლვას და ამ კუთხით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და მეორეს მხრივ - პროტოდემოკრატიული, საბჭოთა ღირებულებათა ნაირსახეობა, რომელიც რეალურად არ წარმოადგენს ოპოზიციურ ხედვას, ეს არის ალტერნატივა იმ გზისა, რომელიც საქართველომ უკვე აირჩია.

ამდენად, ვისთვისაც მნიშვნელოვანია დემოკრატიული ღირებულებები და ქვეყნის სამართლებრივი სრულყოფა, მედიათავისუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. უნდა ვეცადოთ, მართლაც გადავაქციოთ მედია არა "მეოთხე", არამედ "პირველ" ხელისუფლებად. ეს შესაძლებელი გახდება, თუ მედიის საშუალებით გაიზრდება მოსახლეობის ჩართულობის ხარისხი სახელმწიფო გადაწყვეტილებებში. თუ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები არ დარჩება რეაგირების გარეშე. თუ პოლიტიკური ელიტა მედიის ზემოქმედებით მოახდენს დროულ რეაგირებას მოსახლეობის პრობლემებზე.

მედიას უნდა მიეცეს საშუალება, გახდეს ქმედითი. ეს საშუალება კი არის - ხელისუფლების მხრიდან ოპერატიული რეაგირება მედიის მიერ დასმულ პრობლემებზე. სწორედ ეს უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკური სტრატეგია. ეს, ქვეყანას მხოლოდ გააძლიერებს.

დარწმუნებული ვარ, რომ სამართლებრივი ქვეყნის არქიმედისეული საყრდენი ნერტილი (იგულისხმება არქიმედეს ცნობილი გამოთქმა "მომეცით საყრდენი ნერტილი და მე დავეძრავ დედამიწას") სწორედ მედიაა. მედია ძლიერი და თავისუფალი.

ერთი ფედერაციი, ბევრი სხვა

ზურაბ თალაქვაძე

არა, რაც ჩოგბურთის ვეფხვები, ასეთი სეზონი ჯერ არ მასხოვს. ქალთა შორის რამდენიმე საინტერესო ამბავი მოხდა, მაგრამ კაცებმა ბევრი ფეეროული შეხვედრა დადგეს. "მასტერსებზე" შეუდარებელი იყენებ ნოვაკ ჯოკოვიჩი, ენდი მარეი, სლემის ტურნირებზე ბობოქრობდა როჯერ ფედერერი, რომელიც ოთხივე მეთაურის ფინალში გავიდა და ორჯერ საუკეთესო გახდა. 2009-ის მეორე ნაწილი უმაღლეს დონეზე ჩატარებს ხუან მარტინ დელ პოტრომ და ნიკოლაი დავიდენკო, რაფაელ ნადალს კი პირველობის შენარჩუნებაში მხოლოდ რამდენიმე მიკროტრაჯედი შეუშალა ხელი. სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს აღმოჩენად იქცა შვედი რობინ სოდეგრენი, რომელმაც კარიერაში პირველად, ჯერ სლემის ფინალში ითამაშა, მერე კი პირველ ათეულში შევიდა და იქ ადგილის დამკვიდრებას შეეცდებოდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დღეს პირველი ათეულის წევრთა პორტრეტებს წარმოგიდგენით. ასევე შემოგთავაზებთ პირველი ოცეულის საბოლოო სახეს და რამდენიმე ცნობილი ჩოგბურთელის ამ სეზონის რეიტინგს. რამდენიმეთვის, კერძოდ, მარატ საფინისა და ფაბრის სანტორისთვის ეს უკანასკნელი რეიტინგი გახდა - ორივემ კარიერა დაასრულა.

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
დაიბადა: 1981.08.08 (ბაზელი, შვეიცარია)
სიმაღლე: 185 სმ
წონა: 85 კგ
პროფესიონალია 1998-დან
2009 წლის მოგება/წაგება: 58:11
მწვრთნელი: არ ჰყავს
მემარჯვენე

2009 წლის ამბები: სეზონი, როდესაც როჯერმა პიტ სამპრასის სასლემო რეკორდი გააუმჯობესა, სამუდამოდ შეკვა ჩოგბურთის ისტორიაში. ფედერერის კარიერაში 15 მთავარი დაჯილდოვდა და არ არის გამორიცხადებული, ფენომენალური კარიერის ბოლომდე კიდევ რამდენიმე სასლემო მოიგოს. მთავარია, როჯერის საამისო მოტივაცია შენჩეს, თორემ იფიკურად ყველაფერი მშვენივრად იქნებოდა. ფედერერი პირველია ჩოგბურთის ისტორიაში, რომელიც ზედიზედ შვიდი წლის განმავლობაში სეზონის ბოლოს, სულ მცირე, მეორე ადგილზე რჩება. ივნისში როჯერმა საფრანგეთის ლია პირველობა მოიგო და გახდა მეექვსე მამაკაცი, რომელსაც კარიერაში ყველა სასლემო, სულ მცირე, ერთხელ აქვს მოგებული. 6 ივლისს დაიბრუნა პირველი ადგილი ერთეულთა კლასიფიკაციაში. ივან ლენდონის მერე გახდა მეორე მითამაშე, რომელმაც სეზონის ბოლოს პირველობა წინ წელს დაკარგულს შემდეგ დაიბრუნა. ცოლად მოიყვანა ბავშვობის მეგობარი მირკა ვაჟრინევი. დანარჩენ ორ სასლემოზეც ფინალში გავიდა. ავსტრალიის ლია პირველობაზე წააგო რაფაელ ნადალთან, ამერიკაში კი მისი დიდი ხნის პეკემონია ხუან მარტინ დელ პოტრომ შეწყვიტა. უიმბლდონის ფინალში ენდი როდრიგის ხუთ სეტში დამარცხებამდე დათმო ერთადერთი სეტი (კოლუმბიის ბერთან). როდრიგის ფინალში 50 ეისით კარიერის რეკორდი დაამყარა. შვეიცარიის ნაკრები დევისის თასის მსოფლიო ჯგუფში დააპრუნა და მომავალ სეზონში სტაბილურად აპირებს ნაკრების შემადგენლობაში დამკვიდრებას.

2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)
დაიბადა: 1985.17.04 (ლე მანი, საფრ.)
სიმაღლე: 185 სმ
წონა: 85 კგ
პროფესიონალია 2001-დან
2009 წლის მოგება/წაგება: 57:14
მწვრთნელი: ტონი ნადალი
მემარჯვენე

2009 წლის ამბები: ნადალიმ კარგად დაიწყო სეზონი და მოიგო სლემტურნირი, რომელზეც ფავორიტად არასოდეს ითვლებოდა. ავსტრალიის ლია პირველობის ფინალში მან ფედერერს აჯობა და იმ მომენტში კიდევ უფრო დაშორდა შვეიცარიელს რეიტინგში. ზედიზედ მეხუთედ, ესპანელმა სეზონი, სულ მცირე, ხუთი ტიტულით დაასრულა. მეექვსედ გაიმარჯვა სასლემოზე და "მასტერსის" სერიის სამი ტურნირი მოიგო. რა თქმა უნდა, ალსანიშნავია ისიც, რომ რაფამ ესპანეთის ნაკრები ამ დეკადაში უკვე მეხუთედ (მანამდე მის გარეშე) გაიყვანა დევისის თასის ფინალში, სადაც პირველები ფავორიტებად ითვლებიან. წლის ერთ-ერთ საუკეთესო მატჩში ნადალმა

ავსტრალიის ლია პირველობის ნახევარფინალში თანამემამულე ფერნანდო ვერდასკოს მარათონული ჯახი (5 საათი, 14 წუთი) მოუგო. 1988 წლის მერე გახდა პირველი მითამაშე (მაშინ მათს ვილანდერმა), რომელმაც ავსტრალიის სასლემოზე ნახევარფინალი და ფინალი 5-5 სეტში მოიგო. 2004-ში, დევისის თასზე ნაგების მერე, ერთეულებში ზედიზედ 12 შეხვედრა მოიგო. მონტე კარლოს ტურნირი მიჯრით მეხუთედ მოიგო, რაც ამ მასტერსის ისტორიაში საუკეთესო შედეგია. კარიერაში "მასტერსის" სერიის 15 ტურნირი მოიგო და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ანდრე აგასის (17, R.I.P.) და ფედერერს (16) ჩამორჩება. 2005 წლიდან თიხნარზე გამართულ 160 საერთაშორისო შეხვედრაში მხოლოდ 7 (!) წაგება აქვს. "როლან გაროსზე" 31-მატჩიანი წაუგებელი სერია მეოთხე წრეში დაუსრულდა (სოდერლინგთან 4 სეტში დამარცხდა).

3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)
დაიბადა: 1987.22.05 (ბელგრადი, სერბეთი)
სიმაღლე: 188 სმ
წონა: 80 კგ
პროფესიონალია 2003-დან
2009 წლის მოგება/წაგება: 78:16
მწვრთნელი: მარიან ვაიდა
მემარჯვენე

2009 წლის ამბები: ჯოკოვიჩმა ვერ მოიგო სლემის ვერც ერთი ტურნირი, მაგრამ სეზონი ერთეულებში ყველაზე მეტი, 78 მოგებით დაასრულა და საკმაოდ სტაბილურიც იყო. გავიდა 10 ტურნირის ფინალში და, ზედიზედ მესამედ, სეზონი, სულ მცირე, 60 გამარჯვებით დაამთავრა. ჰარდზე მოგებული მატჩებით (51) კარიერისა და წლევანდელი სეზონის რეკორდები დაამყარა. ცუდად ითამაშა "როლან გაროსზე", სადაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე ადრე გამოეთიშა ტურნირს - მესამე წრეში სამ სეტში ფილიპ კოლშრაიბერთან დამარცხდა. უიმბლდონზე გავიდა მეოთხედფინალში, სადაც მოულოდნელთა კიდევ ერთ გერმანელთან - ტომი პასთან დამარცხდა. ამერიკის ლია პირველობაზე, ზედიზედ მესამედ, სულ მცირე, ნახევარფინალში გავიდა და ამჯერად ფედერერთან დამარცხდა. ნოემბერში, ბაზელის ფინალში, ფედერერს აჯობა და სეზონის განმავლობაში პირველი ათეულის წევრებთან ჩატარებულ 27 შეხვედრაში 15 გამარჯვება (სამჯერ ფედერერთან) მოიპოვა. ნოემბერში ასევე მოიგო პარიზის "მასტერსი", ფინალში გაელ მონფილზი დამარცხდა სამ სეტში.

4. ენდი მარეი (შოტლანდია)
დაიბადა: 1987.15.05 (დანბლენი, შოტლ)
სიმაღლე: 190 სმ
წონა: 84 კგ
პროფესიონალია 2005-დან
2009 წლის მოგება/წაგება: 61:10
მწვრთნელი: მაილს მაკლევინი, ალექს კორჩა
მემარჯვენე

2009 წლის ამბები: მარეი ერთი პირობა მეორე ადგილზეც კი იყო, თუცა სეოთისგან საბოლოოდ იმაზე მეტს ელოდნენ, ვიდრე მან 2009-ში მიაღწია. ძალიან სუსტად გამოვიდა დიდი სლემის ტურნირებზე. ამერიკის ლია პირველობაზე, სადაც ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, მეოთხე წრეში დამარცხდა მარინ ჩილიჩთან. სეზონი ექვსი მოგებული ტურნირით დაასრულა, რაც ენდის კარიერის რეკორდია. წელიწადი დოჰას ტურნირზე ტიტულის დაცვით დაიწყო, გზად ჯერ ფედერერი, მერე კი ენდი როდრიგ დაამარცხა. "როლან გაროსზე" მეოთხედფინალში გასვლით კარიერის რეკორდი დაამყარა. საფრანგეთის სასლემოზე მას ჩილელმა ფერნანდო გონსალესმა მოუგო. მოიგო ქინიზის ბალახისაფარიანი ტურნირი და 1938 წლის მერე (მაშინ, ბანი ოსტინი) ამ ტურნირის პირველი ბრიტანელი ჩემპიონი გახდა. უიმბლდონზე ნახევარფინალში გავიდა, სადაც ოთხ სეტში როდრიგთან დამარცხდა. სუსტად ჩაატარა სეზონის დასკვნითი ნაწილი - პარიზის "მასტერსზე" მესამე წრეში რადეკ შტეპანეკთან დამარცხდა, წლის შემჯავებულ ტურნირზე კი ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია.

5. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)
დაიბადა: 1985.17.04 (ტანდილი, არგ.)
სიმაღლე: 198 სმ
წონა: 83 კგ
პროფესიონალია 2005-დან
2009 წლის მოგება/წაგება: 51:15
მწვრთნელი: ფრანკო დავინი
მემარჯვენე

2009 წლის ამბები: სეზონის მეორე



როჯერ ფედერერი

ნაწილის გმირი. მოიგო ამერიკის ლია პირველობა. ფინალში ხუთ სეტში როჯერ ფედერერს მოუგო, მანამდე კი ნახევარფინალში სამ სეტში მხოლოდ 5 გეიმში მოაგებინა რაფაელ ნადალს. გახდა პირველი მითამაშე კიდევ ერთი არგენტინელის, დავიდ ნალბანდიანის მერე, რომელმაც ამერიკის ლია პირველობაზე ფედერერს აჯობა. მოიგო სამი ტურნირი და პირველად გავიდა "მასტერსის" სერიის ტურნირის ფინალში, სადაც (ცინცინატი) სამ სეტში ენდი მარეისთან დამარცხდა. ავსტრალიის ლია პირველობის მეოთხედფინალში სამ სეტში წააგო (პა, 0:6, 0:6) ფედერერთან, რომელსაც წლის ბოლო ორი მატჩი მოუგო (სულ 2:6). უიმბლდონის მეორე წრეში წააგო ლიეტონ პირუტთან, რასაც ვაშინგტონის ტურნირის ზედიზედ მეორედ მოგება დაერთო. ფინალში დელ პოტრომ სამ სეტში როდრიგ დაამარცხა. ამერიკის ლია პირველობაზე გახდა პირველი მითამაშე, რომელმაც ერთსა და იმავე სასლემოზე ნადალი და ფედერერი დაამარცხა. 1977 წლის მერე (მაშინ, გილერმო ვილასი) პირველი არგენტინელი სლემში მოიგო გახდა. კარიერაში რვა საერთაშორისო ტურნირი აქვს მოგებული. ერთ მატჩში საშუალოდ 8.9 ეისს აწვდიდა, რითაც მეექვსეა პირველ ათეულში შევიდა. სეზონის ბოლოს ლონდონის სუპერტურნირის ფინალში ნიკოლაი დავიდენკოსთან დამარცხდა.

6. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)
დაიბადა: 1981.02.06 (სვეროდონცკი, უკრ)
სიმაღლე: 178 სმ
წონა: 70 კგ
პროფესიონალია 1999-დან
2009 წლის მოგება/წაგება: 54:16
მწვრთნელი: ედუარდ დავიდენკო
მემარჯვენე

2009 წლის ამბები: იმპროვიზირებულად დაასრულა კარგად დაიწყო სეზონი - გავიდა ავსტრალიის ლია პირველობის ნახევარფინალში (წააგო ფედერერთან) და დუბაის ფინალში (მარეისთან), რის მერეც კარიერაში 27-ე საერთაშორისო ტურნირი მემფისში მოიგო. გახდა ამერიკის ნაკრების ისტორიაში მეორე ერთეულებში მოგებებით (31). მასზე მეტი მატჩი მხოლოდ ჯონ მაკინროის (41) აქვს მოგებული. უიმბლდონზე მესამედ გავიდა ფინალში, სადაც ფინალის ბოლო სეტში 14:16 წააგო ფედერერთან. ეს იყო სლემის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მეხუთე სეტი. ამერიკის ლია პირველობაზე, მესამე წრეში, თანამემამულე ჯონ ისნერთან მეხუთე სეტის ტაი-ბრე-

2009 წლის ამბები: 2006 წლის დარად, კოლიამ სეზონი ამჯერადაც ხუთი მოგებული ტურნირით დაასრულა. მას შემდეგ, რაც ტრავმის გამო წელიწადი პირველი 11 მატჩიდან მხოლოდ 7 მოგებით მოიგო, სეზონი 46 გამარჯვებითა და მხოლოდ 12 წაგებით დაასრულა. მოიგო წლის შემჯავებელი ტურნირი ლონდონში, სადაც ფედერერს, სოდერლინგს, ნადალსა და ფინალში დელ პოტროს აჯობა. ზაფხულში მოიგო ზედიზედ 12 შეხვედრა. მის წარმატებულ სერიას კი მონრეალის "მასტერსი" მეოთხედფინალში მარეიმ დაუსვა ნერტილი.

7. ენდი როდრიგ (აშშ)
დაიბადა: 1985.17.04 (ომპა, აშშ)
სიმაღლე: 188 სმ
წონა: 88 კგ
პროფესიონალია 2000-დან
2009 წლის მოგება/წაგება: 45:15
მწვრთნელი: ლარი სტეფანსკი
მემარჯვენე

2009 წლის ამბები: ზედიზედ მეორედ, სეზონი საუკეთესო ამერიკელად დაასრულა. კარგად დაიწყო სეზონი - გავიდა ავსტრალიის ლია პირველობის ნახევარფინალში (წააგო ფედერერთან) და დუბაის ფინალში (მარეისთან), რის მერეც კარიერაში 27-ე საერთაშორისო ტურნირი მემფისში მოიგო. გახდა ამერიკის ნაკრების ისტორიაში მეორე ერთეულებში მოგებებით (31). მასზე მეტი მატჩი მხოლოდ ჯონ მაკინროის (41) აქვს მოგებული. უიმბლდონზე მესამედ გავიდა ფინალში, სადაც ფინალის ბოლო სეტში 14:16 წააგო ფედერერთან. ეს იყო სლემის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მეხუთე სეტი. ამერიკის ლია პირველობაზე, მესამე წრეში, თანამემამულე ჯონ ისნერთან მეხუთე სეტის ტაი-ბრე-

იკვ წააგო. 13 ოქტომბერს, შანხაის "მასტერსის" პირველივე წრეში, თამაშისას მიიღო ტრავმა და სეზონი ამით დაასრულა.

8. რობინ სოდერლინგი (შვედეთი)
დაიბადა: 1984.14.08 (ტიბრო, შვედეთი)
სიმაღლე: 193 სმ
წონა: 81 კგ
პროფესიონალია 2001-დან
2009 წლის მოგება/წაგება: 41:20
მწვრთნელი: მაგნუს ნორმანი
მემარჯვენე

2009 წლის ამბები: შვედი, რომელიც ყოველთვის ნიჭიერ მითამაშედ ითვლებოდა, წელს განსაკუთრებით გაიხსნა. საფრანგეთის ლია პირველობაზე ფინალში წააგო ფედერერთან სამ სეტში, მანამდე კი გზიდან ჩამოცილა ნადალი, დავიდენკო და გონსალესი. 2000 წლიდან მოყოლებული, გახდა პირველი შვედი, რომელიც "როლან გაროსის" ფინალში გავიდა. მასინ ეს შვედი რობინის დღევანდელმა მწვრთნელმა მაგნუს ნორმანმა აჩვენა. სეზონის ბოლო ხუთ ტურნირზე, სულ მცირე, მეოთხედფინალში გადიოდა და სეზონი მერე ადგილზე დაასრულა.

9. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)
დაიბადა: 1983.15.11 (მადრიდი, ესპ)
სიმაღლე: 188 სმ
წონა: 81 კგ
პროფესიონალია 2001-დან
2009 წლის მოგება/წაგება: 47:23
მწვრთნელი: არ ჰყავს
მემარჯვენე

2009 წლის ამბები: ვერდასკომ კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა, სეზონის დასწყისში კი შეუდარებელი იყო. პირველად გავიდა ავსტრალიის ლია პირველობის ნახევარფინალში (წააგო ნადალთან), მანამდე კი პრისბერის ფინალშიც (შტეპანეკთან) ითამაშა. დიდი სლემის ტურნირებზე მოიგო 15 და წააგო მხოლოდ 4 მატჩი, რაც კარიერის საუკეთესო მაჩვენებელია. 15 ნოემბრიდან პირველად შევიდა საუკეთესო ათეულში. მოიგო ერთი ტურნირი და 13-ჯერ სხვადასხვა შტაბირებაზე, სულ მცირე, მეოთხედფინალში იყო.

10. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრ.)
დაიბადა: 1985.17.04 (ლე მანი, საფრ.)
სიმაღლე: 188 სმ
წონა: 91 კგ
პროფესიონალია 2004-დან
2009 წლის მოგება/წაგება: 41:19
მწვრთნელი: ერიკ ვინოგრადსკი
მემარჯვენე

2009 წლის ამბები: საუკეთესო ფრანგმა სეზონი კარიერაში ყველაზე მეტი - სამი ტურნირის მოგებით დაასრულა და ერთეულებში 41 გამარჯვება მოიპოვა. პირველ ორ თვეში შეუდარებელი იყო და მოიგო ჯერ იოჰანესბურგის (ფინალში ჩარდის), მერე კი მარსელის (ლოდრას) ტურნირები. პირველად გავიდა "როლან გაროსის" მეოთხე წრეში, სადაც დელ პოტროსთან ოთხ სეტში დამარცხდა. ოქტომბერში მოიგო ტოკიოს ტურნირი, ფინალში კი რუსი მიხაილ იუჟნი დაამარცხა.

1. როჯერ ფედერერი (შვეიც) 10 550
2. რაფაელ ნადალი (ესპ)..... 9 205
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ).....8 310
4. ენდი მარეი (შოტ).....7 030
5. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 6 785
6. ნიკოლაი დავიდენკო (რუს)..... 4 930
7. ენდი როდრიგ (აშშ)4 410
8. რობინ სოდერლინგი (შვედ)3 410
9. ფერნანდო ვერდასკო (ესპ)3 300
10. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ)2 875
11. ფერნანდო გონსალესი (ჩილ).....2 870
12. რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)2 625
13. გაელ მონფილზი (საფ)2 610
14. მარინ ჩილიჩი (ხორ)2 430
15. ჟილ სიმონი (საფ)2 275
16. ტომი რობერდო (ესპ).....2 175
17. ტომი პასაი (გერ).....1 855
18. დავიდ ფერერი (ესპ)1 795
19. მიხაილ იუჟნი (რუს)1 690
20. თომას ბერდიხი (ჩეხ)1 655
22. ლიეტონ პირუტი (ავსტრალ) 1 600
23. ხუან კარლოს ფერერო (ესპ)..... 1 555
24. ივან ლიუბიჩიჩი (ხორ) 1 405
37. ივო კარლოვიჩი (ხორ) 1 015
38. იანკო ტიპსარევიჩი (სერბ)..... 1 014
42. მარკოს ბალდატი (კვიპ).....945
44. ჯემს ბლეიკი (აშშ)935
61. მარატ საფინი (რუს).....720
65. დავიდ ნალბანდიანი (არგ)665
69. ფაბრის სანტორი (საფ).....645



ხუან მარტინ დელ პოტრო

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმხორციელებელი ცენტრი" (ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ./ფაქსი: (995 32) 388210, (995 32) 388220, (995 32) 388210/20 (119) ფაქსი; ელექტრონული ფოსტა /E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ტენდერს "გლობალური ფონდის" პროგრამის "რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება საქართველოში" (პროგრამა: **N-GEO-607-G05-T**) ფარგლებში ("საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი პუნქტის "უ" ქვეპუნქტის თანახმად, "გლობალური ფონდის" სამედიცინო პროგრამები განთავსებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან) ს/ს "ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის" მოზრდილთა სტაციონარის (მისამართი აჭარის ქ. **N8**) კორპუსის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს;

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" პროგრამა: **N-GEO-607-G05-T**);

3. შესყიდვის ობიექტი: "ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის" მოზრდილთა სტაციონარის სარეკონსტრუქციო სამუშაოები (მისამართი, ქ.თბილისი, აჭარის ქუჩ. **N8**);

4. სამუშაოების დასრულების სასურველი ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 12 თვის განმავლობაში; მიწოდების პირობა: ქ.თბილისი, მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი სამუშაოს მოცულობისა და მისამართის შესაბამისად (*შენიშვნა: სამუშაოს შესრულების ადგილთან, ვადებთან და შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ პარამეტრებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდადამდე ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას);

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 22 დეკემბერს 10:00 სთ.-იდან 2009 წლის 22 დეკემბერს 17:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 22 დეკემბერს, 17:00 სთ.-ზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრნენ სატენდერო წინადადების გახსნას);

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 6.1. იურიდიული პირისათვის:
 - ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან სანარმოს რეგისტრაციის შესახებ (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
 - ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეესტრირებული არ არის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
 - გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- 6.2. ფიზიკური პირისათვის:
 - ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითურაინანია;
 - ბ) ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
 - გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

6.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:
ა) იურიდიული და ფიზიკური პირის რეკვიზიტები (იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზი-

- ტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);
- ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მოწერილისათვის გაცემული მინდობილობა (არარეზიდენტი პირს უნდა ჰყავდეს სათანადო უფლებამოსილების მქონე ადგილობრივი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში);
- გ) ინფორმაცია ბოლო 3 წლის (2006, 2007, 2008 წწ.) განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ (აღნიშნულის თაობაზე პრეტენდენტებმა ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად);
- დ) ინფორმაცია უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში წლიური (2006წ; 2007წ; 2008წ) ბრუნვის მოცულობის შესახებ (ლარებში), რომელთა ჯამი არ უნდა იყოს 10,000,000 (ათი მილიონი) ლარზე ნაკლები;
- ე) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, მათ შორის ანალოგიური საქმიანობის სფეროში;
- ვ) ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

7. პრეტენდენტის მიერ მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება;

8. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ტენდერის შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად, გარდა მე-6 მუხლის 6.3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტისა;

9. პრეტენდენტების მიერ მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მ.შ. ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი); ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით;

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე მსურველ პირებს შეეძლება 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (საბანკო ანგარიშზე: მიმღები სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმხორციელებელი ცენტრი" (საიდენტიფიკაციო კოდი 211327580), "საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი" (ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშწოდების ანგარიში ლარებში: 005606074 (ან/და 36089810205272040003); დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი);

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 21 დეკემბერს 18:00 სთ.-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული;

12. ტენდერში გამოყენებულ იქნება სატენდერო წინადადებისა - 1%-იანი და ხელშეკრულების შესრულების - 3%-იანი უზრუნველყოფის მექანიზმი (ბანკის საბანკო გარანტია);

13. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;

14. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული;

15. ტენდერში ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება;

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან, სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: სანდრო კვაჭანტირაძე და ხათუნა კაპანაძე, სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმხორციელებელი ცენტრი" (მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ: (995 32) 388210, (995 32) 388220; ტელ./ფაქს.: (995 32) 388210 (Ext: 119), E-mail: globalfund@caucasus.net).

შპს "რიცეულა ჰესი" აბრკალვს ფასთა გამოკითხვას

რიცეულა ჰესის საკუთარი მოხმარების ელექტრომომარაგების იმედიანობის გაზრდის მიზნით მეორე ტრანსფორმატორის უჯრედის და ელექტროენერჯიის საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოს შესყიდვაზე

შპს "რიცეულა ჰესი" გააფორმებს ხელშეკრულებას იმ საპროექტო ორგანიზაციასთან, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო პირობებს მინიმალური ანაზღაურების მოთხოვნით.

სამუშაოს შესრულების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან შეადგენს 15 სამუშაო დღეს.

წინადადების წარმოდგენისათვის საჭირო დოკუმენტაცია და პირობები:

1. ინფორმაცია ანალოგიური საპროექტო სამუშაოების შესრულების და გამოცდილების შესახებ;

- 2. სარეგისტრაციო მონაწილეები (წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლი და მოქმედების ვადის მქონე ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან);
 - 3. საკონტაქტო პიროვნების კოორდინატები: საბასპორტო მონაცემები, სახელი, გვარი, თანამდებობა, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის და ფაქსის ნომრები;
 - 4. წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე;
 - 5. განფასება უნდა იყოს წარმოდგენილი ლარებში (დღგ-ს გარეშე);
- წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა - 4 დეკემბრის 15 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. №14 (ყოფილი - დელისის მე-3 შესახვევი №22), მე-5 სართული, გენ. დირექტორის მისაღები.
- დამკვეთი იტოვებს უფლებას, არ მიიღოს წინადადება მისი წარმოდგენის ვადის გასვლის შემდეგ.
- დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით: საკონტაქტო პირს - ლალი გოგიშვილი 899 51 30 02, 21 03 55, ელ.მის. I-gogishvili@giec.ge

შპს "რიცეულა ჰესი" აბრკალვს ფასთა გამოკითხვას

რიცეულა ჰესის 35-10-0,4 კვ ძაბვის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ტესტირების და მათი ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნის მომზადების სამუშაოების შესყიდვაზე

შპს "რიცეულა ჰესი" გააფორმებს ხელშეკრულებას იმ ორგანიზაციასთან, რომელსაც აქვს აკრედიტირებული ლაბორატორია და რომელიც წარმოადგენს საუკეთესო პირობებს მინიმალური ანაზღაურების მოთხოვნით.

სამუშაოს შესრულების ვადა შეადგენს 7 (შვიდ) სამუშაო დღეს ხელშეკრულების გაფორმებიდან.

წინადადების წარმოდგენისათვის საჭირო დოკუმენტაცია და პირობები:

- 1. აკრედიტაციის მოწმობა ანალოგიური სამუშაოს ჩატარებაზე;
- 2. ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების და გამოცდილების შესახებ;
- 3. სარეგისტრაციო მონაწილეები (წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლი და მოქმედების ვადის მქონე ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან);

- 4. საკონტაქტო პიროვნების კოორდინატები: საბასპორტო მონაცემები, სახელი, გვარი, თანამდებობა, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის და ფაქსის ნომრები;
 - 5. წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე;
 - 6. განფასება უნდა იყოს წარმოდგენილი ლარებში (დღგ-ს გარეშე);
- წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა - 4 დეკემბრის 15 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. №14 (ყოფილი - დელისის მე-3 შესახვევი №22), მე-5 სართული, აღმასრულებელი დირექტორის მისაღები.
- დამკვეთი იტოვებს უფლებას, არ მიიღოს წინადადება მისი წარმოდგენის ვადის გასვლის შემდეგ.
- დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით: საკონტაქტო პირს - ლალი გოგიშვილი 899 51 30 02, 21 03 55, ელ.მის. I-gogishvili@giec.ge

ყენია მარტამდე დაისვენებს

საქართველოს ნაკრებისა და "შალკეს" შემტევი ნახევარმცველი ლევან ყენია გელზენკირხენულ გუნდთან ერთად ვარჯიშს მარტის პირველი რიცხვებიდან განაახლებს. ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელს ოპერაცია ესაჭიროებოდა. შვეიცარიის ქალაქ ბაზელში ლევანს გაუკეთეს კიდევც ოპერაცია, რომელმაც კარგად ჩააარა.

"შალკეს" გამთამაშებელი ბუნდესლიგის ამ სეზონში კარგად თამაშობდა, "ხუმარების" მწვრთნელი ფელიქს მაგათი ენდობოდა და უმეტესად ძირითად შემადგენლობაში აყენებდა, თუმცა, კოჭის ტრავმა გაურთულდა და ოპერაცია აუცილებელი გახდა.

ანჩელოტის პატოს გადაბირება სურს

"ჩელსის" მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ისევ ცდილობს "მილანიდან" ბრაზილიელი ფორვარდის პატოს გადაბირებას. ფიფამ "არისტოკრატების" მიერ ორი წლის წინათ განხორციელებულ ერთ-ერთ ტრანსფერში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა, რის გამოც ლონდონელებს იანვრის შემდეგ, საგარეუდოდ, ერთი წლით აკრძალა ახალი ფეხბურთელების შექმნა. ასე რომ, "ჩელსის" ხელმძღვანელობა იძულებულია, შემადგენლობის საჭირო ფეხბურთელებით გაჯერებაზე იანვარში იზრუნოს. პატოს გადაბირება ანჩელოტის ჯერ კიდევ ზაფხულში სურდა, მაგრამ მაშინ "როსონერის" მესვეურებმა ამ საკითხზე საუბარი არ ისურვეს. ახლა კი, ეტყობა, ვითარება შეიცვალა. ერთ-ერთი იტალიური გამოცემა იუწყება, რომ მილანელები 58 მილიონ გირვანჯა სტერლინგად პატოს ადვილად შეეღვივან. პატოს გაყიდვით "მილანის" ხელმძღვანელობას თავისუფალი სახსრების მოძიება სურს. "როსონერი" შემადგენლობის გადახალისებას აპირებს. ლეონარდოს მთავარი სამიზნეა "ვოლფსბურგის" ფორვარდი ედინ ჯეკო, რომელიც 30 მილიონ ევროდ არის შეფასებული. ასე რომ, პატოს გაყიდვით "მილანს" ჯეკოს შესაძენად საჭირო თანხაც ექნება და ხურდაც დარჩება.

აურელიოს უარი

"ლივერპულის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა ფაბიო აურელიომ მერსისაიდულ კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება არ ისურვა. საქმე ის არის, რომ აურელიოს ხშირად აწუხებს ტრავმები. ამის გამო "ლივერპულის" მესვეურები მას უცნაურ კონტრაქტს სთავაზობდნენ. კერძოდ, აურელიოს ხელფასი იმ თამაშების რაოდენობით დაითვლებოდა, რომლებსაც ფეხბურთელი გამართავდა.

აურელიოს ახლანდელი კონტრაქტი 2010 წლის ივლისში იწურება, რაც ფეხბურთელს მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტის სტატუსის მიღებისა და გუნდიდან უპრობლემოდ წასვლის საშუალებას მისცემს. რაფა ბენიტესს მისი გაშვება არ უნდა, მაგრამ თავად ფეხბურთელს მერსისაიდული კლუბის პირობები არ მოსწონს.

"ფაბიო უილბლო ფეხბურთელია. მართალია, მას ხშირად აწუხებს ტრავმა, მაგრამ როცა ფორმაშია, გუნდისთვის უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ ახალ ხელშეკრულებაზე უარი გვითხრა, აურელიოს უახლოეს დღეებში კიდევ დაველაპარაკებით. შესაძლოა, კონტრაქტის პირობების შედგენისას ჩვენ შეცდომა დავუშვით. ახლა კლუბის ხელმძღვანელობა საკითხს ცოტა სხვაგვარად, უფრო რეალურად აფასებს, რაც ფაბიოს შენარჩუნების იმედს მძლევს. ის შესანიშნავი ადამიანი, უდიდესი პროფესიონალი და ბრწყინვალე ფეხბურთელია. ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ასეთი დონის მოთამაშეები შევინარჩუნოთ", - ამბობს ბენიტესი.

"რეალი" ვარგასის ყიდვას აპირებს

მადრიდის "რეალი" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ფიორენტინას" მარცხენა ნახევარმცველის ხუან მანუელ ვარგასის გადაბირებას შეეცდება. "სამეფო კლუბს" პერუელ ფეხბურთელში 20 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს - "იგბმა" ვარგასი სწორედ ასე შეაფასეს.

მადრიდელებს კონკურენტები ჰყავთ. ვარგასის შექმნაზე პრეტენზიას აცხადებენ "ინტერი", "მანჩესტერ იუნაიტედი", "ჩელსი" და "მილანი".

შუმახერი დაბრუნებას არ გამოირიცხავს

არაა გამორიცხული, რომ მომავალ სეზონში მიხაელ შუმახერი მინც ვიხილოთ ფორმულა 1-ში. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ადასტურებს, რომ მოიჩინა ტრავმა, რომელიც გასული სეზონის დანყებად, მოტოვარისას მიიღო და არც იმას გამორიცხავს, რომ მერმის შეიძლება ფორმულა 1-ს დაუბრუნდეს.

ამ უქმეებზე გერმანელმა ფელიქს მასას მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო ტურნირზე იასპარეზა და კარტინგის რბოლა მოიგო კიდევც. რაც მთავარია, მან რბოლისას თავისი ოსტატობა არაერთხელ გამოავლინა.

რა თქმა უნდა, ბრაზილიელი რეპორტიორები დაინტერესდნენ, აპირებს თუ არა შუმახერი ფორმულა 1-ში დაბრუნებას, რაზეც მისგან ორაზროვანი პასუხი მიიღეს: "ვინ იცის"? ბევრისთვის ეს იმის ნიშანი იყო, რომ შუმი დაბრუნებაზე ფიქრობს.

მაგრამ "ფერარიში" ორივე ადგილი დაკავებულია. ერთი გუნდის სამი მანქანით გამოსვლის შანსი კი პრაქტიკულად არ არსებობს. სხვა კონკურენტუნარიანი გუნდი, რომელში ყოფნაც შეიძლება შუმახერმა ისურვოს, "მერსედესია", რომელიც ჯერ მხოლოდ ერთი პილოტი ჰყავს, მეორის დასახელებას კი არ ჩქარობს.



უქმეებზე შუმახერმა ფელიქს მასას ორგანიზებულ საქველმოქმედო ტურნირზე კარტინგის რბოლა მოიგო

მელსაც ჯერ მხოლოდ ერთი პილოტი ჰყავს, მეორის დასახელებას კი არ ჩქარობს.

მეორე ვაკანსიაზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილება. პირველია გერმანელი ნიკ ჰაიდფელდი, რომლის მიწვევის შემთხვევაში "სამქიმიანები" გერმანულ გუნდს ჩამოაყალიბებენ. მეორე კანდიდატია რობერტ კუბიცა, რომელსაც, მარ-

თალია, კონტრაქტი ახალი ფორმული აქვს "რენოსთან", მაგრამ თუ ეს უკანასკნელი ჩემპიონატის მიტოვებას გადაწყვეტს, კუბიცაც გათავისუფლდება და "მერსედესისთვის" ის მისწრება იქნება.

მაგრამ შტუტგარტელებისთვის ყველაზე სასურველი მანც შუმახერი იქნება, ვინც, სხვათა შორის, დიდ ავტოსპორ-

ტში სწორედ "მერსედეს-ბენცის" ახალგაზრდა გერმანელი პილოტების მხარდაჭერის პროგრამით მოხვდა. როგორც ამბობენ, შუმის "ფერარისთან" კონტრაქტი არ გაუგრძელებია, რაც ირიბად სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ მას "მერსედესთან" სერიოზული გეგმები აკავშირებს... <http://formula1ge.blogspot.com>

ირლანდია 33



ანრის ხელს "ფასი" დაედო

ნესბურგის გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე ფიფას შვეიცარიელმა მესაჭე ზეპ ბლატერმა თქვა, მათ (ირლანდიელებმა) მოგვემართეს თხოვნის ნერი-

ლით: შეგვიძლია თუ არა გავხდეთ მსოფლიო ჩემპიონატის 33-ე გუნდი.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, იმავე ბლატერის განმარ-

ტებით, ფიფას მოხელენი ირლანდიელებისთვის პასუხის გაცემისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. მაგრამ იქვე იმასაც დასძენს, საკითხს ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 2 დეკემბერს განვიხილავთ.

...ირლანდიასა და საფრანგეთს შორის განმეორებითი შეხვედრის დამატებით დროში, რომელიც 18 ნოემბერს პარიზში შედგა, გადამწყვეტი გოლი უილიამ გალასმა ტიერი ანრის პასით გაიტანა, რომელმაც თავის მხრივ საგოლე პასს ხელი წააშველა და სამხრეთაფრიკული საგზურსაც ხელი გამოკრა. აი, ირლანდიელები კი, რომელიც ხელცარიელი დარჩნენ, დაუინებით ითხოვდნენ მატჩის გადათამაშებას, დღეს კი... დღეს ირლანდიის ფეხბურთის ფედერაცია ფიფასგან 33-ე გუნდად დაშვებას ითხოვს.



შენი ადგილი ინტერნეტში www.myhost.ge

3 თვე უფასო კოსტიინგი

☎ 470000
✉ info@myhost.ge

უქმეები



ბანცხალეპი ტენდერის ჩატარების შესახებ

- სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი (ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული, ტელ/ფაქსი: (995 32) 389551) “სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში აცხადებს ტენდერს საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ინვენტარის შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს.
- დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი (“სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამა”)
- შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:

ლოტი №	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა (ცალი)
ლოტი 1	ბოსტნეულის სატრეილი მანქანა	1
	კარტოფილის საწმენდი სადგამით	1
	ხორცსაკეპი მანქანა	1
	მიქსერი (პატარა)	1
	ჭურა გაზის 4 ჭურატიანი, ღუმელით	2
	საცხობი კარადა სადგამით	1
	ფრიტიური გაზის	1
	ელექტროჭურა 4 ჭურატიანი, ღუმელით	1
	მაცივარი საყოფაცხოვრებო	27
	მიკროტალღოვანი ღუმელი, საყოფაცხოვრებო	2
	ყავის სახარში საყოფაცხოვრებო	1
	ელექტროჭურა საყოფაცხოვრებო	2
	მაცივარი კამერა (ცივი ოთახი)	1
	კარადა მაცივარი	2
	დახლი თბური (პატარა)	1
	სარეცხი მანქანა 25 კგ/სთ	2
	საშრობი მანქანა ჩატვირთვის მასა 10 კგ	2
	საშრობ-საუთაო მანქანა (დიდი)	1
	სტერილიზატორი (გამჭოლი)	1
	სარეცხი მანქანა საყოფაცხოვრებო (დიდი)	1
სარეცხი მანქანა საყოფაცხოვრებო (პატარა)	2	
კონდიციონერი	4	
ლოტი 2	სარეცხი ჩანი (პატარა)	5
	სასადილო მაგიდის კომპლექტი, 4 სკამით	15
	მაგიდა ფქვილის ნაწარმისათვის	1
	სარეცხი ჩანი ორბუდიანი	2
	მაგიდა საწარმოო კარადით (პატარა)	3
	მაგიდა საწარმოო კარადით (დიდი)	2
	საკეების ულუფებად მისაწოდებელი ყუთი	400
	თეფში ცხელი კერძისათვის	200
	სტელაჟი თეთრეულის	4
	სასწორი სატვირთო 100 კგ	1
	სასწორი საკონდიტრო 10 კგ	1
	ურნა	50
	ურნა სანაპიერო (პედალიანი)	100

4. მიწოდების სასურველი ვადაა 2010 წლის 31 მარტი; მიწოდების პირობა: “DDP-მიწოდების ადგილი”; მიწოდების ადგილი: მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი მისამართის შესაბამისად (შენიშვნა: მიწოდების ვადებთან, პირობებთან, საქონლის ტექნიკურ პარამეტრებთან და მახასიათებლებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2009 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, პეკინის ქ. 30, V სართული, ოთახი №500).

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები დასაბუთებულ პაკეტში ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 23 დეკემბერს 10:00 სთ-დან 12:00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, პეკინის ქ. 30, V სართული, ოთახი №500, სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 23 დეკემბერს 12:00 სთ-ზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- 6.1. თურთიული პირისათვის:
 - ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
 - ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

- 6.2. ფიზიკური პირისათვის:
 - ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
 - ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

6.3. როგორც თურთიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, საფოსტო ინდექსი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა/E-mail, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;
- სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (არარეზიდენტი პირის უნდა ყავდეს სათანადო უფლებამოსილების მქონე ადგილობრივი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში);
- ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიურ მიწოდებაზე (ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით;

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება
1.			
2.			

7. პრეტენდენტის მიერ მე-9 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

8. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დასაბუთებულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ტენდერის შესახებ განცხადების მე-9 პუნქტის შესაბამისად.

9. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინოს ერთად. მაგრამ თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია.

10. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლება 200 (ორასი) ღარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 302003174, დამატებითი ინფორმაცია: სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი – კოდი 1185, 2009 წლის 1 დეკემბრიდან 22 დეკემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, პეკინის ქ. 30, V სართული, ოთახი №500. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

11. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

12. ტენდერის შედეგად შესაძლებელია თითოეულ ლოტზე ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

13. ტენდერში ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

14. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების – 1%-იანი და ხელშეკრულების შესრულების – 5%-იანი უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია).

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან, სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: მარიამ ლორთქიფანიძე და ლევან გელაშვილი, სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი (მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, პეკინის ქ. 30, V სართული, ოთახი №500, ტელეფონი: (995 32) 389551)

სატენდერო კომისია

ქ. თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 11 ნოემბერს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ავარიული სახლების (კორპუსის) გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების (4 ლოტიანი) სატენდერო განცხადებაში

ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 11 ნოემბერს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ავარიული სახლების (კორპუსის) გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების (4 ლოტიანი) შესყიდვის სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

ა) შესყიდვის ობიექტს დამატოს ლოტი N5 და ლოტი N6:
 ლოტი N5 - ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, IV მ/რ; N421 კორპუსის გამაგრება-გაძლიერება; შესრულების ვადა - 2010 წლის 01 იანვრიდან 2010 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

ლოტი N6 - ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი N36-ე კორპუსის გამაგრება-გაძლიერება; შესრულების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

ბ) შეცვლილ იქნას გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი ქ. თბილისში, ავარიული სახლების (კორპუსის) გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების (6 ლოტიანი) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

სატენდერო კომისია



ბანკის ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 12) აცხადებს ტენდერს ხელშეკრულების რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის სოფელ ადლიაში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილთან მისახველი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად და იჭყვეს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს.

2. სამუშაოების შესრულების ვადა – 2010 წლის განმავლობაში, მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.
გასაწვეი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302007800, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის. მითითებული იქნას ობიექტის დასახელება). სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეეძლებათ შემსყიდველ ორგანიზაციაში. სატენდერო დოკუმენტაციის, როგორც გაცნობა, ასევე გაცნობა შესაძლებელია 2009 წლის 1 დეკემბერიდან 2009 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით (სამუშაო დღეებში და საათებში) მისამართზე: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-4 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2 კგ ზემოქაღირად, დედანი და ასლი ცალ-ცალკე დადგენილი კონვერტებით 2009 წლის 22 დეკემბრის 10⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე და 2009 წლის 23 დეკემბრის 10⁰⁰ საათიდან 12⁰⁰ საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის 12, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საჩუქრულ დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მეოთხე სართული, საქმისწარმოების განყოფილება.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულებების მოთხოვნების თანახმად დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს დეპარტამენტის სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუსხენლად დააბრუნებს უკან.

მიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1.1. იურიდიული პირისათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
- ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;
- ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების შესახებ.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

5.1.2. ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
- ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების შესახებ.
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

5.1.3 როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გაანდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვნა და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

№	მანქანა-მექანიზმების და დანადგარების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოქველებული)	საკუთრება:
					მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები
1					
2					
და ა.შ.					

ბ) ინფორმაციას პრეტენდენტი პირის ძირითად სპეციალისტთა (იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	ანალოგიურ სამუშაოებზე გამოცდილება	ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა, დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები (წლების მიხედვით)
1				
2				
და ა.შ.				

გ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

-- შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

№	სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებები
1				
2				
და ა.შ.				

დ) ინფორმაციას ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწვეი სამუშაოების შესახებ.
-- შენიშვნა: ქვე-კონტრაქტორის ავგანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორზე წარმოდგენილი იქნას შემდეგი ხაზის ინფორმაცია.

- ქვე-კონტრაქტორის დასახელება და მისამართი;
 - შესასრულებელი სამუშაოების დასახელება;
 - შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება;
 - ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება (წარმოდგენილი იქნას ის ძირითადი ობიექტები, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს შესრულებული აქვს ანალოგიური სამუშაოები, თანხების და შესრულების ვადების მითითებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ასევე ამ ობიექტებზე ხელშეკრულებების ასლები და სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები-სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.
- ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება
1			
2			
და ა.შ.			

-- ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%

6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმწიფრითა და ბეჭდის დასმით.

7. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაციები დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენი პრეტენდენტის მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

9. სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ყველა ცნობა და ინფორმაცია გარდა სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტიისა, პრეტენდენტის სატენდერო წინადადებების შერჩევის დროს ექვემდებარება დაზუსტებას.

10. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბანკო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

შესაძლებელია ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა. ალტერნატიული წინადადება უნდა იყოს დასაბუთებული და სრულყოფილი, შესაბამისი ნაზახებით და გაანგარიშებით, წინააღმდეგ შემთხვევაში დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ ის არ განიხილება.

12. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვეო კომპანიის მიერ. საგარანტო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების ღირებულების არა ნაკლებ 1% ოდენობით. (სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ძალაში უნდა იყოს 90 დღე, დაწყებული 23.12.2009წ.)

13. სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

14. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. საგარანტო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.05.08 დამატებით 2.92 გიზო დლონიტ.

საკვალიფიკაციო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისია

ქ. თბილისის, მთავრობის მიერ გამომცხადებულ აუქციონში ში ტექნიკური ხარვეზის განხორციელება

2009 წლის 30 ნოემბრის გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულ ქ. თბილისის მთავრობის აუქციონში დაშვებული იქნა ტექნიკური ხარვეზი N17 ლოტში. აღნიშნული ხარვეზი გასწორდეს და ლოტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

ლოტი N 17

მისამართი - ნერეთლის გამზირი N77ბ-ში მდებარე შენობა ნაგებობები N1 N2 N3 N4 N6 საერთო ფართობი 3622კვ.მ. და შესაბამისი ნილობრივი მიწის ნაკვეთი (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.13.06.004.023).

გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სააუქციონო პირობები

- ა). ქონების სანყისი ფასი - 735000 ლარი;
- ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5000 ლარი.
- გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 294000 ლარით.
- დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 500 ლარს.
- ე). საგანმანათლებლო ან სააღმშრდელო საქმიანობის განხორციელება.

ამხანაგობების "ჭალადი"-ს, "გურიფული"-სა და "ნოჯიხევი"-ს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოხდადეთ შემდეგ მისამართზე: ქ. სოპი. სტალინის ქუჩა N3 (ფერმერთა სახლი) საკონტაქტო ტელეფონი 855-03-02-55.

ცვლილება სატენდერო განცხადებაში

შპს "ენგურჰისის" მიერ 260 მვტ სიმძლავრის ჰიდროაგრეგატის დაშლა-ანყობის სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 17 ნოემბრის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სატენდერო დოკუმენტაციაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

გასაწევი მომსახურების ჩამონათვლიდან სამუშაოს სპეციფიკაციონობიდან გამომდინარე ამოღებული იქნა 58.7 პუნქტი - ტურბინის ლერძის შეკეთება.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "დასავლეთის წყალი" (მის: 4600, ქ. ქუთაისი, გუგუნავას N12), აცხადებს ტენდერს 15 /თხუთმეტი/ ტონა თხევადი ქლორი შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:

15 / თხუთმეტი/ ტონა თხევადი ქლორი.

სავარაუდო მონაცემები- თხევადი ქლორი; შეფუთვა: სპეციალური, თხევადი ქლორის ერთ ტონიანი კონტეინერებით.

1. შესყიდული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს.

2. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 1 დეკემბრიდან 21 დეკემბრის ჩათვლით 11 საათამდე 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 4600, ქ.ქუთაისი, გუგუნავას N12, შპს "დასავლეთის წყალი", განცხადებასთან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

- ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
- ბ) ცნობა, რომ ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა, (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)

4.2 ფიზიკური პირისათვის:

- ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)

4.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

ბ) ცნობა სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები არ იქნება შესაბამისობაში შემსყიდველის მოთხოვნებთან მათი წინადადებები არ განიხილება.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

7. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ ა/ა N 14093608 - "ვითიბი ბანკი ჯორჯია" ქუთაისის ფილიალი ბანკის კოდი 220101605 დანიშნულება - (სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 1 დეკემბრიდან 21 დეკემბრის ჩათვლით 11 საათიდან 17 საათამდე, მისამართზე: ქ.ქუთაისი, გუგუნავას N12 "დასავლეთის წყალი".

8. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გაიხსნება 21 დეკემბერს 17 საათზე, მისამართზე: ქ.ქუთაისი, გუგუნავას N12 "დასავლეთის წყალი".

9. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდება უკან პრეტენდენტებს.

10. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ წინადადება როგორც ერთ ასევე რამოდენიმე ლოტზე. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა მიუღებელია.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე ქ.ქუთაისი, სულხან-საბას გამზ.N37 ტელ: (8231) 91625 მალხაზ ჯინჭარაძე (995) 95-33-28-33, შპს "დასავლეთის წყალი". ელ. ფოსტა western-water@mail.ru

სატენდერო კომისია

შპს „საქართველოს ფოსტა“ განმეორებით აცხადებს

ლოტი აუქციონის

საფოსტო განყოფილებებში თავისუფალი ფართობის იჯარით გაცემის მიზნით

№	გასაიჯარებელი ფართობი	კვ.მ.	საწყისი საიჯარო ფასი დღგ-ს გარეშე (1 კვ.მ-ზე)	ბიჯი დღგ-ს გარეშე (1 კვ.მ-ზე)
1	ფილიალ ახალქალაქის ფოსტის ადმ. შენობა (მის: მიქოიანის ქ .№13)	13	4	0.5
2	ფილიალ ახალქალაქის ფოსტის ადმ. შენობა (მის: მიქოიანის ქ .№13)	21	4	0.5
3	ფილიალ თბილისის ფოსტაში ადმინისტრაციული შენობა შესასვლელი ჭოროხის მხრიდან	60	4,5	0.5
4	ფილიალ „აჭარის ფოსტის“ ქობულეთის საფოსტო განყოფილება (მის: აღმაშენებლის .№135)	27	12	0.5

ღია აუქციონში მონაწილე პირთა მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციათა ნუსხა:

- განცხადება, რომელშიც სავალდებულოა აისახოს იჯარით გასაცემი ქონების დასახელება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები, ინდემქარამე დამატებით წარმოადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
- საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი წარმოადგენს: ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან, ან შესაბამისად იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრიდან, წესდების ასლს, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლს.
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირის მიერ.
- მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 10 ლარის ოდენობით
- გადახდის კეთილად (გამოცხადებულ ფოველთეიური იჯარის თანხის 10%-ს პრეტენდენტი იხდის ბე-ს სახით ბილეთის საფასურთან ერთად ფოსტის საღარიპში, ან საბანკო დაწესებულებაში, მითითებულ ანგარიშზე).

დამატებითი პირობები:

- აუქციონი ტარდება ღია წესით და გამარჯვებული გამოვლინდება იმავე დღეს.
- სავალდებულოა პრეტენდენტის ან მისი წარმომადგენლის დასწრება აუქციონზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეს და ბილეთის თანხა უკან არ დაბრუნდება.
- აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური იჯარის თანხა ფასის განცხადება;
- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება.
- ხელშეკრულების ფორმდება 3 (სამი) წლამდე ვადით;
- ყოველთვიური საიჯარო თანხას გამარჯვებული პრეტენდენტი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შპს „საქართველოს ფოსტის“ მითითებულ ანგარიშზე.
- მოიჯარე ვალდებულია საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციის (რეალიზაციის) შემთხვევაში შეწყვიტოს საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციამდე (რეალიზაციამდე) საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გადახდის გარეშე, რაც ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის სააუქციონო და სახელშეკრულებო პირობებშია.

განაცხადების მიღების ადგილი: თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაცია.

განაცხადების მიღების ვადაა 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2009 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით 10.00 სთ.-დან 16.00 სთ.-მდე (შაბათ-კვირის გარდა).

ღია აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი: 2009 წლის 15 დეკემბერი 17:00 სთ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, შპს „საქართველოს ფოსტის“ ადმინისტრაცია.

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი 123286800. ბანკის კოდი 220101502. ს.კ 203836233

საკონტაქტო ტელეფონი: 340735.

ბანკინგის რეგულირების აქტი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ აქციონის ჩატარების შესახებ.

1. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის №67-ში მდებარე, ბანკის საკუთრებაში არსებული 90მ² კომერციული ფართის (I სართული და სარდაფი) გაყიდვის მიზნით, აცხადებს აუქციონს და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

გასაყიდი ობიექტის მახასიათებლები:

Table with 2 columns: Description (e.g., Address, Area, Documents) and Value/Details (e.g., 01.16.05.003.046.01.502, 1604 sq.m).

რაც დასტურდება შესაბამისი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, რომლის სარეგისტრაციო მონაცემებია

Table with 2 columns: Registration details (e.g., Registration No, Date, Time) and Values (e.g., 882009365795, 11/11/2009 12:50:45).

2. აუქციონის პირობები:

- ა) სარეალიზაციო ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 210 000 (ორასათიათასი) ლარს.
ბ) აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყისი გასაყიდი ფასზე ზევით, რომელიმე მონაწილის მიერ სხვა მონაწილესთან (მონაწილეებთან) შედარებით შემოთავაზებული უფრო მაღალი საბოლოო ფასი, აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია გააფორმოს ბანკთან ნასყიდობის ხელშეკრულება და გამარჯვებულის გამოვლენის ოქმი.
გ) აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ანგარიშზე, (ანგ№ 505 545 01) უნდა შემოიტანონ სარეალიზაციო ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასის მინიმუმ 10%-ის ოდენობის თანხა (21 000 ლარი) ან წარმოადგინონ შესაბამისი თანხის საბანკო გარანტია (დანიშნულებაში უნდა მიეთითოს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აუქციონში მონაწილეობის გადასახადი)
დ) შემოთავაზებული თანხა (ან საბანკო გარანტია) წარმოადგენს აუქციონში მონაწილე პირის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას, იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს იტყვის სარეალიზაციო ობიექტის შესყიდვაზე და აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ ოქმის ხელმოწერაზე ან სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიასთან“ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებაზე, მას გადახდილი თანხა (21 000 ლარი) უკან არ დაუბრუნდება, ხოლო საბანკო გარანტიის შემთხვევაში თანხა მოთხოვნილი იქნება გარანტორ ბანკისაგან.
ე) აუქციონში მონაწილე ყველა პირს, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გადახდილი თანხა ან წარმოდგენილი საბანკო გარანტია დაუბრუნდება აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენისა და მასთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ან აუქციონის ჩაშლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. (გარდა ამ მუხლის გ. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.)
ვ) აუქციონში გამარჯვებულ პირს შეუძლია ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით გადახდილი თანხა უკან არ გაიტანოს და ჩაითვალოს ობიექტის შესყიდვისას.
ზ) აუქციონში ბიჯი შეადგენს 1000 (ათასი) ლარს.
3) დაინტერესებულ პირებს მიეცემა შესაძლებლობა დაათვალიერონ გასაყიდი ობიექტი ადგილზე, მიიღონ მის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია განცხადებაში მითითებული საკონტაქტო პირისაგან.

- 4) მსურველებმა აუქციონში მონაწილეობისათვის უნდა წარმოადგინონ:
ა) განაცხადი აუქციონში მონაწილეობაზე დასტურებული კონვერტით (დანართი №1-ის სახით)
ბ) პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი. (არ ილუქება კონვერტში)
გ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით, არ ილუქება კონვერტში)
დ) აუქციონში მონაწილის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გადახდის დამდასტურებელი საბუთი, ან მოთხოვნილი თანხის შესაბამისი საბანკო გარანტია. (საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 5 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს აუქციონის ჩატარების თარიღს) (არ ილუქება კონვერტში).

- 5. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა, განაცხადი აუქციონში მონაწილეობაზე და სხვა მოთხოვნილი დოკუმენტები, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 4 დეკემბრის 15:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №37, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სათაო ოფისი, მე-4 სართული, შესყიდვების კოორდინაციის ჯგუფი, შემოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენისა და მათი ბანკის წარმომადგენლის მიერ რეგისტრაციის დღიდან, განმცხადებელი იქნეს აუქციონში მონაწილის სტატუსს.
6) აუქციონი გაიმართება განაცხადების მიღების ვადის დასრულების შემდეგ, შემოთავაზებული მისამართზე.
7) აუქციონის დროს შედგენილი გამარჯვებულის გამოვლენის დამადასტურებელი ოქმი წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმა ართმევს გამარჯვებულ მონაწილეს გამარჯვებულის სტატუსს, მყიდველი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში სრულად დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული, გასაყიდი ობიექტის საბოლოო გამოსასყიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება.
8) გასაყიდი ობიექტისა და აუქციონის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საკონტაქტო პირისაგან: გ. ჩიხრაძე, ტელ: 895 58-14-58. 505-589. ასევე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საიტზე www.vtb.com.ge ტენდერები და შეთავაზებები.

დანართი. №1

აუქციონში მონაწილეთა მიერ შევსებული განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი ფორმით: (ივსება აუქციონში მონაწილეობის მსურველის მიერ)

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“

გაცნობებთ, რომ ----- გავეცანი სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ (მონაწილე პირის სრული დასახელება)

გამოქვეყნებულ ინფორმაციას, ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის №67-ში მდებარე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ კუთვნილი 90მ² კომერციული ფართის აუქციონის ფორმით გაყიდვის თაობაზე და სურვილი გვაქვს მონაწილეობა მივიღოთ აღნიშნულ რისთვისაც წარმოგიდგენთ:

- 3) აუქციონში მონაწილის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გადახდის დამდასტურებელი ქვითარი. (ან საბანკო გარანტია)
4) პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი.
5) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით)

ამასთან გაცნობებთ, რომ სრულად ვეთანხმებით აუქციონის განცხადებაში მითითებულ ინფორმაციას, ვიმოქმედებთ დადგენილი წესების დაცვით და თუ აუქციონში გაიმარჯვებულ მხარე ვართ გავფორმოთ თქვენთან ნასყიდობის ხელშეკრულება (თუ ის შედგენილი იქნება აუქციონის პირობების შესაბამისად), ხოლო ჩვენი მხრიდან ნასყიდობის ხელშეკრულების ან გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ ოქმის ხელმოწერაში მონაწილეობის შემთხვევაში თანხა ვართ პირგასამტეხლოს სახით გადმოგცემთ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ჩვენს მიერ გადახდილი თანხა 21 000 ლარი.

განმცხადებელი: ----- (განმცხადებლის ხელმოწერა)

თარიღი -----

ტელ: -----პ

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება ქალაქ თბილისის მე-რიის მიერ 2009 წლის 14 ნოემბრის გაზეთ - "24 საათი" გამოქვეყნებულ, სხვადასხვა სახის მერქნიანი და ბუჩქოვანი მცენარეების თანმდევი მომსახურებით (დარგვა და შემდგომი მოვლა-პატრონობა) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში და შესყიდვის ობიექტი ლოტების მიხედვით განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ლოტი 1 - 4000 ცალი კვიპაროსი;
ლოტი 2 - 2000 ცალი კედარი;

- ლოტი 3 - 1000 ცალი ალვის ხე;
ლოტი 4 - 1000 ცალი ივანი;
ლოტი 5 - 1600 ცალი ნეკერჩხალი;
ლოტი 6 - 400 ცალი ცაცხვი;
ლოტი 7 - 1000 ცალი ირმის რქა;
ლოტი 8 - 2500 ცალი ფიჭვი;
ლოტი 9 - 500 ცალი ზეთისხილის ხე;
ლოტი 10 - 50 ცალი ბუჩქი COTINUS coggyria 'alatus' ფოთოლმცვენი;
ლოტი 11 - 50 ცალი ბუჩქი COTINUS 'smokebush';
ლოტი 12 - 50 ცალი ბუჩქი FORSYTHIA viridissima 'bronxensis' ფოთოლმცვენი;
ლოტი 13 - 50 ცალი ბუჩქი FORSYTHIA 'sunrise';
ლოტი 14 - 50 ცალი ბუჩქი FORSYTHIA intermedia;
ლოტი 15 - 50 ცალი ბუჩქი EUONYMUS altus "compactus" მარადმწვანე;
ლოტი 16 - 100 ცალი ბუჩქი WEIGELA florida "red prince"

- ფოთოლმცვენი;
ლოტი 17 - 50 ცალი ბუჩქი SPIREA nipponica 'snow-mound' ფოთოლმცვენი;
ლოტი 18 - 50 ცალი ბუჩქი SPIREA Anthony Waterer ფოთოლმცვენი;
ლოტი 19 - 50 ცალი ბუჩქი OLENDER;
ლოტი 20 - 300 ცალი ბუჩქი VIBURNUM tinus 'eve prince' მარადმწვანე ზამთ. მოყვავილე;
ლოტი 21 - 450 ცალი ბუჩქი EUONYMUS fortunei 'vegetus' ქრელფოთოლა;
ლოტი 22 - 500 ცალი ბუჩქი LIGUSTRUM 'მარადმწვანე';
ლოტი 23 - 2000 ცალი ბუჩქი THUJA".
სატენდერო კომისია

ბანკსაღება

საქართველოს ღრუბლოვანი და განსახლების სამინისტროს მიერ 2009 წლის 25 ნოემბერს გაზეთ "24 საათში" იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების შენახვის ხარჯებიდან კომპაქტურად განსახლების ობიექტებში ელექტრო-სამონტაჟო, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

ლოტი	ობიექტების მისამართი ქ. თბილისი	შესასრულებელი სამუშაოების მოკლე აღწერა	შენიშვნა
1	ტუბდისპანსერი, მე-3 კორპუსი, სამგორის №8	წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია	
	გარდაბნის გზატკეცილი №6, 78-ე საჯარო სკოლა		
	სარაჯიშვილის №8, მოსკოვის საპროექტო ინსტიტუტი, ნაძვალაძის რაიონი		
	ვარკეთილი 3, 4 მ/რ, №3 სამუსიკო სკოლა		
	გლდანის, 102-ე ბ/ბადი, VI მ/რ		
2	ნუცუბიძის 223, ლითონდაცვის შენობა	ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები	
	ნარვლის №67 მეტროლოგიის ინსტიტუტი		
	სეისმოლოგია, კახეთის გზატკეცილი 25 კმ.		დენის ჩართვა და ტექ.პირობის აღება

შესყიდვის ობიექტი:

სატენდერო კომისია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2010 წლის 22 იანვარს, 12 საათზე, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“ ცენტრალურ ოფისში (ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. №14), გაიმართება ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ.№6-ში ბუნებრივი აირის საცავის მოწყობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობის მიზანია ბუნებრივი აირის საცავის მოწყობა და შემდგომ მისი ექსპლუატაცია ბუნებრივ აირზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების განყოფილება-გამართვისათვის.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“-ს ცენტრალურ ოფისში - ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. №14;
- სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“-ს ოფისში - ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. №9.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2010 წლის 17 იანვრის 18 საათამდე.

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“-ს ადმინისტრაცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს კომარცხულ კონკურსს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით სარგებლობის უფლებით მართვის (გადაცემის) წესის შესაბამისად

1. ს.ს.ი.პ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით ვაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ. კოსტავას ქ.№77-ში მდებარე მე-6 სასწავლო კორპუსის მე-4 სართულზე არსებული 810,13 კვ.მ ფართი გაიცემა იჯარის უფლებით, საიჯარო ქირის წლიური ოდენობა შეადგენს 48607,80 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში, იჯარის ვადა 1 წელი და 6 თვე. (ხელშეკრულების მოქმედების ვადა - არაუმეტეს 2012 წლის 1 სექტემბრამდე).

“ბე“-ს სიდიდე განისაზღვრება მინიმუმ 12150 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში, რომელიც ჩაითვლება ობიექტის იჯარის ვადის ბოლო წლის ბოლო გადასახადში.

საკონკურსო პირობებზე განისაზღვროს:

- იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
- იჯარის უფლებით გასაცემ ობიექტზე საგანმანათლებლო საქმიანობის მოწყობა;
- ინფორმაციის წარმოდგენა “მეიჯარესთან” ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო კომისიის წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

- ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე და კონკრეტული თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს გამოცხადებულ საწყის წლიურ თანხაზე ნაკლები (კონვერტს ლუქავს განმცხადებელი);

- ბ) პირადობის დამადასტურებელი მონობა (ასლით);
- გ) ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და წესდების ასლს.

საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუთების წარმოდგენის ხარჯებს იხდის გამარჯვებული.

კონკურსში გამარჯვებული წლიურ საიჯარო ქირას იხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველთვიურად (თანაბარწილად).

საჯარო სანქციები:

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებულს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ: ა) საიჯარო ქირის თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში - 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ბ) სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის - კონკურსის შედეგებით დადგენილი წლიური საიჯარო ქირის ოდენობით.

“ბე“-ს გადახდა ხდება: “თი ბი სი” ბანკი, სკ 211349192, ა/ანგარიში 3408001/GEL, ბანკის კოდი 220101830.

კონკურსი ჩატარდება 2009 წლის 30 დეკემბერს 15 საათზე.

კონკურსში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2009 წლის 1 დეკემბერიდან 30 დეკემბრის ჩათვლით 10 საათიდან 14:30 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო სამუშაო დღეს, იმავე საათზე.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მთავარ კრიტერიუმად განისაზღვრება კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული მაქსიმალური საიჯარო ქირა.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ.თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-2 სართული, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება (ტელ: 36 52 03).

სსიპ — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი

მოთხოვნა ინტერესის გამოხატვისთვის

აღნიშნული მონვევა ინტერესის გამოხატვის შესახებ თან სდევს პროექტის ძირითად შეტყობინებას შესყიდვების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 2006 წლის 30 ნოემბრის “Development Business“-ის №691-ში.

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისა (WB) და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) დახმარებით მოამზადა “სოფლის განვითარების პროექტი” (RDP) და მიზანდასახულად აღნიშნული სახსრების ნაწილის გამოყენებას გათვალისწინებული ნებადართული ხარჯების დასაფინანსებლად, კერძოდ:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის 15 რეგიონული სამმართველოს შენობების რეაბილიტაციისათვის (სარემონტო სამუშაოები) დეფექტური აქტისა და შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების მიხედვით სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის შედგენა ქ.ქ. გურჯაანი, ზუგდიდი, ონი, ბორჯომი, ზესტაფონი, ყაზბეგი, ნინოწმინდა, გარდაბანი, ყვარელი, დუშეთი, ოზურგეთი, ლაგოდეხი, მარნეული, ახალციხე და გორი.

სსიპ — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი

ტრი ინვესტორი უფლებამოსილ კონსულტანტებს (კომპანიებს) აღნიშნული მომსახურების მონოპოლის ინტერესის გამოხატვად.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა (კომპანიებმა) უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია იმის დასადასტურებლად, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება აღნიშნული მომსახურების მოთხოვნებს, კერძოდ:

- კონსულტანტის სამუშაო გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში.
- მინიმუმ 3 წლის გამოცდილება მშენებლობის და პროექტორების დარგში.
- მსგავს პროექტებში მუშაობის სამუშაო გამოცდილება.
- პროექტის და ნახაზების ელექტრონული ვერსიის წარმოდგენის შესაძლებლობა.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მოცემულ მისამართზე 10.00-დან 17:00 საათამდე:

ინტერესის გამოხატვა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2008 წლის 14 დეკემბერისა.

სსიპ — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის მისამართი:

თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 6, მე-3 სართული. ოთახი N307.

საკონტაქტო პირი: ვახტანგ ჯალიაშვილი, შესყიდვების სპეციალისტი, ტელ: 37 66 89; 37 66 48.

ელექტრონული ფოსტა: vakhtang.jaliashvili@adpcc.org.ge



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი

მ.თბილისი. 0102

ღა300 ალმაშენაბლის გამზ. №140ა,
ტელ: 95-38-07

№

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებლის მიერ, გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის პირობებისა და წესის განსაზღვრის შესახებ

“საქართველოს დედაქალაქის –თბილისის შესახებ” საქართველოს კანონის 28-ე მუხლის 2-ე პუნქტის, 30-ე მუხლის 4-ე პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის და “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის 8-ე მუხლის შესაბამისად, გამგებლის მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ასლის გადაღების მოსაკრებლის პირობების განსაზღვრის და მოსაკრებლის ბიუჯეტში ჩარიცხვის უზრუნველყოფის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის დაწესებული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, საბანკო დაწესებულების მეშვეობით.
2. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ასლის გაცემა, გამგებლის მიერ განხორციელდეს ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს გამგებლის მოადგილეს საფინანსო-ეკონომიკურ დარგში ღვეან ტალახაძეს და გამგებლის აპარატის უფროსს ანა გამყრელიძეს.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რაიონის გამგებელი

რამაზ სულამანიძე

შ ე ს ნ ო რ ე ბ ა

2009 წლის 21 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული განცხადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2010 წლის 15 იანვარს, 13 საათზე ქ. თელავში შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს თელავის ავტოგა-გაზსამართი სადგურის შენობაში (მისამართი ქ. თელავი, კავკასიონის ქუჩა № 100) გაიმართება ბუნებრივი აირის საცავის ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა”

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს ადმინისტრაცია

შ . ვ . ს. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ აცხადებს ღია ფასთა გამოკითხვას

24ც ვაზოანალიზატორის შეძენაზე .
დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიიღონ

შ . ვ . ს. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ შესყიდვების განყოფილებაში, ყოველ დღე (შაბათის და კვირის გარდა) 9.00-18სთ-მდე. განცხადების მიღების საბოლოო ვადაა მ/წ 10 დეკემბერი. საკონტაქტო ტელეფონი 8(32) 487141, 8(32) 487143 e-mail: ekvintradze@georgianwater.com isakvarelidze@georgianwater.com

სსიპ თბილისის 68-ე საჯარო სკოლა ახადებს კონკურსს გუფატის ფართის იჯარით გაცემაზე

კონკურსის ორგანიზატორი - სსიპ თბილისის 68-ე საჯარო სკოლა. კონკურსის მიზანი - ბუფეტის ფუნქციონირება. საშუალება - სკოლის კუთვნილი 87,44 კვ.მ ფართის იჯარით გაცემა. იჯარის ვადა - 1 წელი (შესაძლებელია ვადის გაგრძელება). განცხადების მიღების ბოლო ვადაა 2009 წლის 30 დეკემბრამდე. განცხადებები მიიღება: ქ. თბილისი, ათონელის ქ. №27-ში. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონზე: 99-66-55; 93-21-07.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (მის: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N32, შესასვლელი არსენას ქუჩიდან) აცხადებს ტენდერს სასამართლო შენობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

- 1. შესყიდვის ობიექტია:**
- **ლოტი N1 - გურჯაანის მაგისტრალი სასამართლო შენობის სამშენებლო - სარეკონსტრუქციო სამუშაოები**
 - **ლოტი N2 - ონის მაგისტრალი სასამართლო შენობის სამშენებლო - სარეკონსტრუქციო სამუშაოები**

სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულებების გაფორმებიდან 2010 წლის 30 აპრილამდე.

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 22 დეკემბრის 11:00 საათიდან 2009 წლის 22 დეკემბრის 17:00 საათამდე, მისამართზე: ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 შესასვლელი არსენას ქუჩიდან, მეორე სართული, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- 3.1 იურიდიული პირისათვის:**
- ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
 - ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
 - გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
 - დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადალის) არარსებობის შესახებ.
 - ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

- 3.2 ფიზიკური პირისათვის:**
- ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
 - ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

- 3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**
- ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
 - ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;
 - გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემული

პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

დ) ინფორმაცია ფინანსური შესაძლებლობების შესახებ: პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ფულადი სახსრები არანაკლებ მისი სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 10%-ს ან უნდა ჰქონდეს გახსნილი საკრედიტო ხაზი აღნიშნულ თანხაზე: ცნობა მომსახურე ბანკიდან ან კრედიტის გამცემი დაწესებულებიდან.

4. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;

ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302005300

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ხელგაწერის რაიონული სასამართლო შენობების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

7. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 2 დეკემბრიდან 2009 წლის 22 დეკემბრის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11. შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, ტატა კაპანაძე, ტელეფონი - (995-32) 92-11-89

სატენდერო კომისია

აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ 2009 წლის 29 დეკემბერს დანიშნული აუქციონის განცხადებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება : ს.ს. „პერიტი“-ს ქონების რეალიზაცია განხორციელდეს ცხრილში მოცემული მონაცემების (საწყისი გასაყიდი ფასი, ბიჯი) შესაბამისად.

Table with 7 columns: მესაკუთრის დასახელება, ქონების დასახელება და აღწერა, ზომის ერთეული, ერთეულის საწყისი ფასი (ლარი), საერთო საწყისი ფასი (ლარი), ბიჯის ოდენობა (ლარი). Includes items like 'არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი' and various construction materials.

ს.ს. პერიტი, ს/ნ-216292385, იურიდიული მისამართი ქ. რუსთავი, მარის არხის №174

